



ციხეხანი

№ 139/3 - 9 ივნისი / 2013

უნდა გაუქმდეს თუ არა კონკორდატი? **33. 06**

ინტერვიუ პაატა ზაქარეიშვილთან **33. 12**

აფხაზეთი, კომფორტული კონფლიქტის ზონა **33. 08**

ხორვატია - 28-ე ევროკავშირელი **33. 26**

ლღვება თუ არა C ჰეპატიტის ყინული? **33. 34**

სამხატვრო აკადემია ჩაკეტილი სივრცეა **33. 36**

ფოტოპროექტი: „ვიზარებ ჯართს!“ **33. 46**

ISSN 1987-7528



ფასი 2 ლარი



**იშხანი
და ოშკი
პრეზიდენტის
ხელმოწერის
მოლოდიინში**

33. 20

შეხვედრები

შეხვედრები სახელმწიფო გადაწყვეტილება

საქართველოს ფილმების სერია.
ყოვანი შაბათს 19:00

დავა
დროულად
წავა





ლიბერალი

№ 139 / 3 - 9 ივნისი / 2013

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი
ნინო ბექიშვილი

რედაქტორები
ლიკა ზაკაშვილი
ირაკლი აბსანძე

წარწერის მკვლევარი:

ზურაბ ვარდიაშვილი, თათია ხალიანი,
ანი ქანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი
გოგუა, გიორგი ქვიციანი, სოფო
აფციაური, ეკა მაღალაძე, ლაშა
ქავთარაძე, ქეთევან ღვინდიაშვილი

კონტრაქტორები:

თომას დე ვალი, მარიამ ასანიშვილი,
მანანა ვარდიაშვილი, გიორგი
ჩადუნელი, თემო ბარძიმაშვილი,
კარინე ასატრიანი

რედაქცია:

ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი
ნინო ბექიშვილი
კორექტორი
ნათია ორმოცაძე

გამომცემლობა:

ლიბერალი
შორენა შავერდაშვილი

ბიზნესის განვითარების მენეჯერი:
რუსუდან ბარათაშვილი

პარტნიორებთან ურთიერთობის
მენეჯერი:

ირმა მოსულიშვილი

დისტრიბუტორი:

გაგი გელაშვილი

წარწერის გამომწერის მსურველები
დაგვიკავშირდით:

mziakublashvili@gmail.com

www.liberali.ge

რედაქტორის სვეტი



„ლიბერალის“ ამ ნომერში ვერ მოხვდა მოსაზრებები ნინო ბურჯანაძის მიერ საკუთარი თავის საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელების თაობაზე. ამაზე, ალბათ, ერთ კვირაში დავწერთ. მანამდე დავაკვირდებით, როგორ აპირებს დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრში საკუთარი თავის პოზიციონირებას პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე და ქვეყნის პრეზიდენტის მოვალეობის ორჯერ შემსრულებელი. პირველი შთაბეჭდილებით ის ე.წ. „ტრადიციული ღირებულებების“ მატარებელ ამომრჩეველთა სეგმენტზე აპირებს მუშაობას. საინტერესო პერსპექტივაა, თუ საპრეზიდენტო რბოლაში მსოფლხედვების კონკურენციის ელემენტზე გაჩნდება და კვლავ მხოლოდ ის არ იქნება, რაც აქამდე ბევრჯერ გამოვიარეთ – კონკრეტული ადამიანების ქარიზმებისა და ეგოების შეჯიბრი.

ქალბატონ ნინოს, განსაკუთრებით დიკში განვითარებული მოვლენების შემდეგ რუსეთთან მისი დამოკიდებულების კიდევ ერთხელ და უფრო გასაგებად ახსნა მოუწევს. ვითარებას ერთი პატარა ინტრიგაც ახლავს თან – ნინო ბურჯანაძის კონკურენტი „ქართული ოცნებიდან“ გიორგი მარგველაშვილია, რომელიც ცოტა ხნის წინ მის პარტიასთან არაფორმალურად თანამშრომლობდა. მოკლედ, ალბათ, ორივე კანდიდატს იმის განმარტებაც მოუწევთ, რაში იყვნენ თანამოაზრეები მაშინ და ახლა ერთმანეთის კონკურენტები რატომ არიან.

ამ ნომრისთვის პატარა ზაქარეიშვილთან ჩავწერე ინტერვიუ. მგონი, საინტერესო გამოვიდა. საკამათო, სადისკუსიო, მაგრამ საინტერესო. რედაქციაში ვხუმრობდით კიდევ – ალბათ, სრულიად სხვადასხვა პოზიციის ადამიანები ამ ინტერვიუს სხვადასხვა ნაწილებს თავიანთი არგუმენტების დასამტკიცებლად გააზიარებენ-მეთქი ფეისბუქზე. წინააღმდეგობრივი კი არაა, ძალიან მრავალშრიანი და, შესაბამისად, ქართული პოლიტიკური დისკურსისთვის უჩვეულო.

სვეტის დასრულებამდე სოციალური ქსელები შევათვალეიერე, რამე ისეთი ხომ არ მომხდარა, რაც ამ ნომერში აუცილებლად უნდა მოხვდეს-მეთქი. ყველა სტადიონზე მიმდინარე კახა კალაძის საფეხბურთო ბენეფისზე წერს – ზოგი ალტაცებით, ზოგი სარკაზმით. არც ჩამოსული ფეხბურთელების გვარ-სახელები მეუბნება რამეს და არც ბერას მუსიკაზე მაქვს რაიმენაირი წარმოდგენა. ამიტომ, დავტოვოთ ასე, ფაქტად, რომ ამ ნომრის კეთებისას თბილისის ცენტრალურ სტადიონზე ბერამ იმღერა და ფეხბურთის მსოფლიო ვარსკვლავები თამაშობდნენ.


ისე, ისტორიისთვის.

ირაკლი აბსანძე, პოლიტიკის განყოფილების რედაქტორი




იშხანი და ოშხი ჰეზიდანების ხალონის მოლოდინში

იშხნის ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები ისევ ქართველი არქიტექტორებისა და რესტავრატორების ზედამხედველობის გარეშე მიმდინარეობს. თურქეთსა და საქართველოს შორის ორმხრივი ხელშეკრულების ხელმოწერამდე, ქართველი სპეციალისტები ტაო-კლარჯეთის ისტორიულ ძეგლებზე მუშაობასა და აღდგენით სამუშაოებზე ზედამხედველობის პროცესში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. თურქეთში გასაგზავნი ხელშეკრულება დიდი ხანია მზად არის, მაგრამ მას პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხელს არ აწერს.

 მანანა ვარდიაშვილი 33.20


აფხაზეთი, აომფოხტანი აონფიქსის ზონა


ყველა აღიარებს, რომ აფხაზეთი გაჭიანურებული კონფლიქტია: რუსეთის უძღვევლი ძალა წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო საზოგადოების მიერ საქართველოს სუვერენიტეტის აღიარების საკითხთან. ზაქარეიშვილს კარგად ესმის, რომ გრძელვადიან თამაშშია ჩართული. „ადრე თუ გვიან მიხვდებიან, რომ მათ სჭირდებათ ალტერნატივა საქართველოსა და ევროპის სახით,“ – მითხრა მან. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, თამაშის წესების შეცვლაა საჭირო. ერთადერთი გამოსავალი, რომელსაც ვხედავ, შავი ზღვის გასწვრივ სოჭის, აფხაზეთის, დასავლეთ საქართველოსა და სომხეთის დამაკავშირებელი რკინიგზის აღდგენაა. რკინიგზის აღდგენა მნიშვნელოვანი მოგების მომტანი იქნება მთლიანად რეგიონისათვის.

 თომას დე ვაალი 33.08

ინტერვიუ ჰანა ზაქარეიშვილთან


რუსებს უნდათ ქართველები ჩაითრიონ დისკუსიაში, სად გადის ეს არარსებული საზღვარი. საიდან გადმოვიდნენ 300 მეტრით? რა არის ის, საიდანაც 300 მეტრით გადმოვიდნენ? ანუ შენ უკვე შენს ცნობიერებაში რაღაც ხაზი გაავლე, ამას აღიარებ და ამბობ, რა საშინელებაა რომ 300 მეტრით გადმოვიდნენ? რუსებს სწორედ ის უნდათ, რაზეც „ნაციონალური მოძრაობა“ საუბრობს. რუსებს უნდათ, რომ ჩაგვითრიონ. „ბოდიში, შეიძლება მართლაც რაღაც შეგვეშალა, მაგრამ ჩვენ ხომ ოპონენტი არა გვყავს. ვილაც რეგვენმა ჯარისკაცმა დაადო თავი და რაღაც ხაზი გაიყვანა. მოდი, დავსხდეთ და ვილაპარაკოთ, სად გადის ეს საზღვარი, რომელიც თქვენთვის მისაღებია.“ ამ პროცესში უნდათ, ჩაგვითრიონ. ამიტომაც მათი ქცევა საკმაოდ უტიფარი და თავხედური, რათა საზოგადოებრივი მღელვარება გამოიწვიონ და ვილაცამ გვითხრას, ბოლოს და ბოლოს რაღაც გააკეთეთ, რამე მოიმოქმედეთო.



 ირაკლი აბსანძე 33.12

ღვება თუ ახა C ჰეპატიტის ყინული?


საქართველოში, სადაც ყოველი მე-14 მოქალაქე C ჰეპატიტითაა ინფიცირებული, ხოლო ვირუსის მატარებელი, უკანასკნელი კვლევების მიხედვით, 200 000-მდე ადამიანია, ხელისუფლება ამ პრობლემისადმი დიდი ხნის განმავლობაში სრულიად გულგრილი იყო. სახელმწიფოს დღემდე არ გააჩნია სტრატეგია დაავადების სამკურნალოდ, არ ტარდება კვლევები ეპიდსიტუაციის რეალური სურათის დასადგენად. მიზეზი კი საბიუჯეტო თანხების სიმცირე და მკურნალობის სიძვირეა. თუმცა სფეროს ექსპერტების თქმით, ყინულმა ღლობა დაიწყო.

 ლაშა ქავთარაძე
83.34

ფოტოჰიქი

„ვიბარებ ჯართს!“



 თემო ბარძიშაშვილი
83.46-53

გამოცემელი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი, ჭანტურიას ქ. 5. ტელ.: (995 32) 2933627 ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

სხვა გამოცემები:

გაზეთი „ლიბერალი“

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.


ფურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბაჭყალი:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ნომერები:



- 04 **მოკლედ ორი აზრი**
- 06 უნდა გაუქმდეს თუ არა კონსტიტუციური შეთანხმება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის? **კომენტარი**
- 08 აფხაზეთი, კომფორტული კონფლიქტის ზონა **ინტერვიუ**
- 12 „რუსეთი თავისი აღიარებების მძევალი გახდა“ **რეპორტაჟი**
- 20 იმხანი და ოპი პრეზიდენტის ხელმოწერის მოლოდინში **უცხოეთი**
- 26 ხორვატია – 28-ე ევროკავშირელი **რეგიონი**
- 30 ნდობა და უნდობლობა „უზრუნველყოფილი სომხეთის“ მიმართ **ეკონომიკა**
- 32 სუბსიდიით თუ მის გარეშე **ჯანდაცვა**
- 34 ღვება თუ არა C ჰეპატიტის ყინული? **საზოგადოება**
- 36 აკადემია ჩაკეტილი სივრცეა
- 40 ლაბირინთში დაკარგული გლეხები
- 44 ფერმერი ჯავახეთიდან **ფოტოპროექტი**
- 46 „ვიბარებ ჯართს!“ **კულტურა**
- 54 „ქართული ფოტოგრაფია 1955-2012“
- 56 **ციტატები**

ახოსჯესიანთა პიხვილი ქოხნილი საფხანბათში



საფრანგეთში, ქალაქ მონპელიეში 29 მაისს პირველი ერთსქესიანთა ქორწინების ცერემონიალი გაიმართა. ბრუნო ბოილიუ და ვინსენტ ოტინი გახდა წყვილი, რომელმაც საფრანგეთში ქორწინების თანასწორობის უფლებით პირველებმა ისარგებლეს. ერთმანეთი მათ უკვე 7 წელია უყვართ და საბოლოოდ ურთიერთობის ოფიციალურად გაფორმება გადანყვიტეს. ახლადდაქორწინებულებმა CNN-თან სამომავლო გეგმებზეც ისაუბრეს და განაცხადეს, რომ მათი მიზანი არა მხოლოდ ქორწინება, არამედ ღირსეული ოჯახის შექმნა და მომავალი თაობებისათვის ცრურწმენებისა და სტერეოტიპების დამსხვრევა იყო. "ჩვენ გვინდა გვყავდეს შვილები, რომლებსაც გადავცემთ ჩვენს ღირებულებებს, იმას, რაც ჩვენთვის ძვირფასია და რასაც სწორად მივიჩნევთ. ჩვენ გვინდა გვყავდეს შვილიშვილები და შვილთაშვილებიც, როგორც ნებისმიერ ოჯახს," - უთხრა ოტინმა CNN-ს, - "როდესაც საფრანგეთში იბადები, სხვა ბავშვების მსგავსად შენც თანაბარი უფლებები გაქვს. მაგრამ როგორც კი ამბობ რომ ჰომოსექსუალი ხარ, საზოგადოება ფუნდამენტური უფლებებიდან რამდენიმეს გართმევს. დღეს საფრანგეთის რესპუბლიკამ ეს უფლებები აღგვიდგინა." ერთსქესიანთა ქორწინების ლეგა-

ლიზაციის საკითხს საფრანგეთში მშვიდად არ ჩაუვლია. პარიზსა და სხვა ქალაქებში რამდენიმე დღის განმავლობაში ქორწინების თანასწორობის მოწინააღმდეგეთა მრავალათასიანი დემონსტრაციები გრძელდებოდა, რაც რიგ შემთხვევებში არეულობაშიც გადაიზარდა.

Facebook სიძუქვილის ენაზე ქოხნილი ბანაქასიხებს


სოციალური ქსელი Facebook სიძულვილის ენის შემცველი შინაარსის კონტროლს გაამკაცრებს. ამის შესახებ ინფორმაცია ქსელის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა გაავრცელეს. მათი თქმით, ბოლო ხანებში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა „სადავო, ზიანისა და ზიზღის შემცველი“ კონტენტის საიტებიდან დროზე წაშლის საკითხი. ამიტომაც კომპანია გეგმავს, რომ სიძულვილის ენის წინააღმდეგ უფრო ეფექტური საშუალებები შეიმუშაოს. აღნიშნული საკითხი ყურადღების ცენტრში მას შემდეგ მოექცა, რაც სხვადასხვა აქტივისტთა ჯგუფებმა, სარეკლამო კომპანიებმა და მედიის წარმომადგენლებმა Facebook-ის ადმინისტრაციას ოფიციალურად არაერთხელ მიმართეს, რომ სოციალური ქსელში გავრცელებული მასალების კონტროლი გაამკაცრონ. ამ თემაზე Facebook-ის ბლოგზე გამოქვეყნებულ პოსტში წერია, რომ კონტენტის კონტროლისა და ზოგადად ქსელის შინაარსობრივი პოლიტიკის გამკაცრების შესახებ ბოლო ხანებში ოფიციალური განაცხადი



არაერთი ორგანიზაციისგან მიიღეს. იმის გათვალისწინებით კი, რომ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფი, მათ შორის: ქალები, ებრაელები, მუსლიმები, ლგბტ ადამიანები და ა.შ. ისტორიულად დიდი ხნის განმავლობაში წნეხსა და დისკრიმინაციას განიცდიან, Facebook-ის ადმინისტრაცია ამ საკითხს განსაკუთრებით სიფრთხილით ეკიდება და აპირებს, რომ გაცილებით აღნიშნული ჯგუფების საზიანოდ განთავსებული ინფორმაციის გასაკონტროლებლად უფრო ეფექტური მექანიზმები შექმნას. „დაარსების დღიდან მოყოლებული Facebook-ის მიზანი იყო, რომ მსოფლიო უფრო ღია და იოლად დასაკავშირებელი გაეხადა. ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ პლატფორმა, სადაც ადამიანებს შეეძლებათ თავისუფლად გააზიარონ და წინა პლანზე წამოსწიონ საკუთარი იდეები და შეტყობინებები, სხვათა უფლებების პატივისცემის პარალელურად. როდესაც ადამიანები ჩართულები არიან მეგობრებთან კონსტრუქციულ საუბარსა და ინფორმაციის გაცვლაში, ოჯახის წევრებსა თუ ონლაინ საზოგადოებასთან, ამ ყველაფერს მხოლოდ პოზიტიური ძვრები მოჰყვება-ხოლმე. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად ვცდილობთ, რომ ჩვენი პლატფორმა უხიფათო და დაცული იყოს ინფორმაციის გაზიარებისა და ერთმანეთთან დაკავშირებისას,“- წერია Facebook-ის ოფიციალურ ბლოგზე.

ბაშახ ასაღის ბაფიქსიციება ნიხაქს

ბაშარ ასადი ისრაელს აფრთხილებს, რომ ნებისმიერი სახის საავიაციო დარტყმაზე შესაბამის რეაგირებას მოახდენს. ლიბანურ ტელეარხთან საუბრისას ასადმა განაცხადა, რომ საჰაერო თა-



ვდაცვის რაკეტების მოწოდებასთან დაკავშირებით რუსეთთან გაფორმებული კონტრაქტის ძალაში შევიდა, თუმცა ტვირთის მიღება-არმილების შესახებ ქვეყნის პირველ პირს არაფერი უთქვამს.

ოფიციალური ისრაელი აცხადებს, რომ მათ მიერ განხორციელებული თავდასხმა ჰესბოლაში იარაღის მიწოდების წინააღმდეგ იყო მიმართული, ხოლო თუ ასადის რეჟიმი საჰაერო თავდაცვის სისტემას მათ წინააღმდეგ გამოიყენებს, ამას თავდასხმა მოჰყვება.

პარალელურად, საბრძოლო შეტაკებები გრძელდება სირიის ქალაქ ქუსაირში.

ბი-ბი-სი-სთან საუბარში სირიელმა ექიმმა ის საშინელება აღწერა, რაც ადგილზე ხდება. მისი თქმით, 600-ზე მეტი დაშავებული ავანყებულების მიერ კონტროლირებად უბნებშია მომწყვდეული, რის გამოც მათთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა ვერ ხერხდება.

შევრობის დონემ ახალ რეკორდს მიაღწია.

17 ქვეყანაში, სადაც ევროს იყენებენ, სამსახურებიდან დამატებით 95 ათასი ადამიანი გაათავისუფლეს. ესპანეთსა და საბერძნეთში უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია. 2013 წლის თებერვლის მონაცემებით, საბერძნეთში ეს მაჩვენებელი 27,0% იყო, ესპანეთში – 26,8%, პორტუგალიაში კი – 17,8%.

„ევროსტატის“ მონაცემებით, გერმანიაში უმუშევრობის დონე 5,4%-ს აღწევს, ლუქსემბურგში კი – 5,6%. უმუშევართა მაჩვენებელი ყველაზე მცირე ავსტრიაშია – 4,9%.


საფრანგეთში, ევროპის მეორე უდიდეს ეკონომიკაში, უმუშევართა რიცხვმა ახალ რეკორდულ ნიშნულს აპრილში მიაღწია.

„უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლების დარეგულირების პროცესს მომავალი წლის შუა პერიოდიდან უნდა ველოდოთ“, – განაცხადა ეკონომისტმა ფრედერიკ დუკროზეტმა.

ქვეყანაში მომხდარ გენოციდში მონაწილეობის ბრალდებით დააკავეს რუანდელი პროკურატორების მოთხოვნით დაკავებულთა ექსტრადაცია მოხდება, რის შემდეგაც ისინი სასამართლოზე კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის წარსდგებიან.

დაკავებულთაგან ოთხმა 2009 წელს მათი ექსტრადაციის შესახებ აღძრულ საქმეზე უზენაეს სასამართლოში გამართული პროცესი მოიგო.

მოსამართლეებმა ჩათვალეს, რომ ექსტრადაციის შემთხვევაში არსებობდა რეალური რისკი იმისა, რომ რუანდაში დაკავებულები სამართლიანი სასამართლოს უფლებას მოკლებულნი ყოფილიყვნენ.

პროცესის დროს, 1994 წლის გენოციდში მონაწილეობის ფაქტი ოთხივე მათგანმა უარყო. 

უკრაინაში უკრაინის ოლქი ახალ ხაზოხაჯ ნიშნულს მიაღწია

ოფიციალური მონაცემებით, 2013 წლის აპრილში ევროზონაში უმუ-

1994 წლის ხანის ბანოსიდან დაახლოებით 5 მილიონი ადამიანი

დიდ ბრიტანეთში სამართალდამცავებმა 5 რუანდელი 1994 წელს მათ



ღიას


ლაშა ბერაია

ფილოლოგი, გამომცემელი

საკონსტიტუციო შეთანხმების გაუქმებას პირველ რიგში პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს საქართველოს ნამდვილად სეკულარულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების თვალსაზრისით. კონსტიტუციური შეთანხმების არსებობა იმით მართლდება, რომ ის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ ღვანლს აღნიშნავს ქართველი ერის თვითგადარჩენისა და ჩამოყალიბების საქმეში. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ რელიგიური ინსტიტუციის ისტორიული ღვანლი არ შეიძლება ფასდებოდეს სეკულარული სახელმწიფოს ძირითადი ფასეულობების საზიანოდ.

ყველას გვსურს მომავალში საქართველო მსოფლიო თანამეგობრობის სრულფასოვან წევრად ვიხილოთ და არა განვითარებადი სამყაროს კვაზისახელმწიფოდ. ამისათვის კი ჩვენი ცხოვრების წესი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს, თანასწორობის იმ პრინციპებს, რომლებსაც ამ თანამეგობრობის წევრთა სახელმწიფოებრიობა ეფუძნება და საქართველოს კონსტიტუციითაც არის განმტკიცებული.

ამ შეთანხმების სახით დღეს არსებობს ერთგვარი საკონსტიტუციო დათქმა, რომლითაც ირღვევა რელიგიური კონფესიების თანასწორობისა და სეკულარულ სახელმწიფოში მათი ადგილის იდეა. ისტორიული მნიშვნელობის გამო ერთი რელიგიური კონფესია არ შეიძლება იყოს პრივილეგირებული, დანარჩენები კი დისკრიმინირებული. რელიგიურ დისკრიმინაციას ბუნებრივად მოსდევს კერძო პირებისა და საზოგადოებრივი ფაქტორების უფლებების შელახვა სხვა – ეთნიკური, გენდერული, სექსუალური და ა.შ. – ნიშნებითაც. ამ მხრივ პრობლემები დღითიდღე მწვავედება. კონკორდატი ეკლესიისთვის პრივილეგირებულობის გარანტიისა და ერთგვარი საკანონმდებლო ფარის ფუნქციას ასრულებს. სასულიერო პირების დაუნერვლი სამართლებრივი იმუნიტეტი, საპატრიარქოს საბიუჯეტო დაფინანსება თუ ხარჯების გაუმჭვირვალობა ზრდის ეკლესიის ამბიციებს მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფაქტორად ჩამოყალიბდეს.

ეკლესიის მხრიდან იდეოლოგიური დიქტატის მცდელობა, რელიგიური ფუნდამენტალიზმის სულ უფრო ხშირი გამოვლინებები სერიოზულ სირთულეებს უქმნის საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოებრიობას. ბუნდოვანი ხდება სახელისუფლო შტოებს შორის ძალაუფლების განაწილება. საზოგადოებრივი მართლწესრიგისა და სამართლის უზრუნველყოფის კუთხით მნიშვნელოვანი პრობლემები ექმნებათ ძალოვან სტრუქტურებსა და სასამართლოს. პროკურორი თუ მოსამართლე კონკორდატს კონსტიტუციის მნიშვნელოვან დამატებად და ზოგად კანონებზე ერთგვარად მალლა მდგომ დოკუმენტად აღიქვამს, ამის გამო კი ანგარიშს უწევს საეკლესიო პირებისა და მრევლის გუნება-განწყობას. ამგვარად, დღეს კონკორდატი საქართველოს სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორიცაა. 



უნდა ბაჟამდს თუ ზაჟამდს ჯაქსიანსა და ს...

■ დღეს არსებობს ერთგვარი საკონსტიტუციო დათქმა, რომლითაც ირღვევა რელიგიური კონფესიების თანასწორობისა და სეკულარულ სახელმწიფოში მათი ადგილის იდეა. ისტორიული მნიშვნელობის გამო ერთი კონფესია არ შეიძლება იყოს პრივილეგირებული, დანარჩენები კი დისკრიმინირებული.



ფოტო: ვიქტორია კახიანიძე

არა

ქეთი აბაშიძე

ხელოვნებათმცოდნე

მართლმადიდებლობა ჩვენი არის რელიგია, რომელიც მკვიდრია, ტრადიციულია და როგორც უცხოეთში ამბობენ - პრესტიჟულია. მთელი ქართული კულტურა ამ რელიგიის ნაყოფია. ეს ის ისტორიული მემკვიდრეობაა, რომელსაც მთელი ქართული აზროვნება და ცნობიერება უკავშირდება.

სახელმწიფო დემოკრატიულ პირობებში ვერანაირად იქნება თეოკრატიული რაზედაც მიდის ესხლა საუბარი, თეოკრატია სულ სხვა რამეა, მაგრამ დემოკრატიული სახელმწიფო უნდა იყოს ეკლესიური აზროვნების, როგორც საბერძნეთი და არა როგორც ირანი, სადაც არის თეოკრატია. მართლმადიდებლობა კი უნდა იყოს აღიარებული როგორც პრესტიჟული რელიგია, იმ ისტორიული მემკვიდრეობის გამო, რომელმაც მთელ ქართველობას იდენტობის საფუძველი შეუქმნა.

ეს კონსტიტუციური შეთანხმება იმიტომ ანიჭებს ძალიან ბევრ პრივილეგიას ქართულ ეკლესიას, რომ ისტორიულად ქართველი ყოველთვის მართლმადიდებელი იყო და ეს პრივილეგიები, ბუნებრივია, უნდა არსებობდეს. ჩვენი მრწამსის, ცნობიერების გზა იყო მართლმადიდებლური გზა და მომავალშიც ასე უნდა იყოს. ამას დაეყრდნო მთელი ჩვენი ისტორია, ამისთვის იბრძოდა ქართველები და ამას შეენიერნენ ჩვენი მეფეები და წმინდანები.

დღეს საქართველოში პრივილეგირებულია ყველა სხვა რელიგია, რომლებსაც მთელი მსოფლიოდან აფინანსებენ. ამ რელიგიებს უზარმაზარი დაფინანსება აქვთ, სწორედ ეს არის მიზეზი, რომ კონსტიტუციური შეთანხმების გაუქმებაზე დაიწყო საუბარი.

ეს შეთანხმება, სწორედ საკონსტიტუციო დონეზე უნდა არსებობდეს და არ შეიძლება მისი გაუქმება. ბევრგან, ნორმალურ ქვეყნებში სწორედ ასეა – თავის ტრადიციულ ისტორიულ რელიგიას იცავენ, ყველა ამ ქვეყანაში ის პრესტიჟულია და სახელმწიფო დინეზეა აყვანილი. რა თქმა უნდა, არჩევნის თავისუფლება და ვისაც უნდა, შეუძლია გახდეს სხვა რელიგიის წარმომადგენელი. ისინი რაოდენობრივად მცირენი არიან, თუმცა უზარმაზარი დაფინანსება აქვთ.

საკონსტიტუციო შეთანხმება მნიშვნელოვანია, რადგან მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე გადის ქართველობის გადაშენება-არგადაშენების გზა. **■**

**ხონსტიტუციური შეთანხმება
სახელმწიფოს შოხის?**

■ ეს კონსტიტუციური შეთანხმება იმიტომ ანიჭებს ძალიან ბევრ პრივილეგიას ქართულ ეკლესიას, რომ ისტორიულად ქართველი ყოველთვის მართლმადიდებელი იყო და ეს პრივილეგიები, ბუნებრივია, უნდა არსებობდეს.

აფხაზეთი, ხომფოხიანი ხონფიჩის ზონა

თომას დე ვალი, კარნეგის ცენტრის ექსპერტი

კონფლიქტის ზონაში შესვლისას უცნაური სიტყვა მომდის თავში: სუფთა. აფხაზეთი სუფთაა. გზა მდინარე ენგურიდან სოხუმამდე (მიუხედავად ადგილობრივების დაჟინებული მოთხოვნისა, ქალაქს სუხუმი დაუძახონ, მას მთელი მსოფლიო სოხუმად იცნობს) ახლადგაკეთებულ გზას მიუყვება და დაახლოებით ერთი საათის სავალია. ქალაქში მშენებლობების ბუმი. მაღაზიები ღია, ქუჩები კი სარეკლამო ბანერებითაა სავსე. ზღვის ნაპირზე მოსეირნე რუსი ტურისტები გაზაფხულის მზიანი ამინდით ტკბებიან.

ირგვლივ თვალშისაცემი სისუფთავეა. ქუჩები კვლავაც ზედმეტად წყნარია. ქალაქის ცენტრის მთავარ ღირსშესანიშნაობად კი საბჭოთა პერიოდის ტლანქი, ნახევრადდანგრეული პარლამენტის შენობა რჩება, რომელიც 1992-93 წლებში საქართველო-აფხაზეთის ომის დასასრულს დაზიანდა.

გარეგნული სისუფთავე პოლიტიკურ რეალობაზეც მოქმედებს. აფხაზეთის მოსახლეობა თავს

კომფორტულად გრძნობს არსებულ სიტუაციაშიც კი.

2008 წელს საქართველო-სამხრეთ ოსეთს შორის ხუთდღიანი ომის კვალდაკვალ რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, რომლებიც თბილისის იურისდიქციიდან 1992-93 წელს გამოვიდნენ. რუსულმა აღიარებამ აფხაზეთი ახალ ტრანქტორიაზე გადაიყვანა, პრობლემათა ერთი წყების მოგვარებამ სხვა ტიპის პრობლემები წარმოშვა. ძირითადად, აფხაზეთის შფოთვა დაუცველობის შეგრძნებითაა გამოწვეული, ვაითუ თბილისმა კვლავ გადაწყვეტოს აფხაზეთის საკუთარი იურისდიქციის ქვეშ მოქცევა. შედეგად რას ფიქრობს ან რა სურს საქართველოს – უკანა პლანზე გადავიდა და აფხაზეთი პოლიტიკის ავანსცენა ადგილობრივმა, შიდა გამოწვევებმა დაიკავა.

შიდა საკითხებზე კონცენტრირებული აფხაზეთი, განსაკუთრებით 2011 წელს პრეზიდენტ ალექსანდრ ანქვაბის არჩევიდან მოყოლებული უფრო და უფრო შორდება დასავლეთს, რომელიც ტრადიციულად თბილისის მხარდამჭერად აღიქმება. აფხაზეთის მთავრობა დაიმუქრა, რომ თბილისში აკრედიტებულ დიპლომატებს მის ტერიტორიაზე არ შეუშვებს, ვინაიდან ამით აფხაზეთზე საქართველოს სუვერენიტეტის აღიარება ხდება. ზოგიერთ დიპლომატს კვლავაც შეუძლია თავისი ქვეყნის დედაქალაქიდან ჩავიდეს სოხუმში, თუმცა დიპლომატიური მიმოსვლა აფხაზეთის ტერიტორიაზე მინიმუმამდე დასული. ზოგიერთმა ევროპელმა აფხაზეთს ევროკავშირის



სტრატეგიის ფარგლებში „ალიარების გარეშე თანამშრომლობა“ შესთავაზა, თუმცა ეს შეთავაზება უარყოფილი იქნა მოტივით – ისინი აფხაზეთს იმის მხოლოდ ნაწილს სთავაზობენ, რასაც რუსეთისგან იღებენ.

ერთ-ერთმა ევროპელმა დიპლომატმა ამ გადაწყვეტილებას „თვით-იზოლაცია“ უწოდა. თუმცა სოხუმში, ზღვის ნაპირზე ყავის სმისას აფხაზეთის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიარჩესლავე ჩირიკბამ ეს განსაზღვრება აბსოლუტურად უარყო.

„როგორ უნდა უწოდო ქვეყანას იზოლირებული, რომელსაც გასულ წელს 7 მილიონი ვიზიტორი ჰყავდა?“ – მკითხა ჩიკირბამ. მისი თქმით, რუსეთიდან და არა მხოლოდ რუსეთიდან, გამუდმებით კვეთენ ადამიანები აფხაზეთის ჩრდილოეთ საზღვარს, რათა შავი ზღვის ტურისტულ კურორტებს ესტუმრონ.

„ჩვენ არც ოკუპირებულები ვართ. სად არიან ოკუპანტები? მე მათ ვერ ვხედავ“, - აღნიშნა მან და მხიარულად შეიხედა ჩვენი მაგიდის ქვეშ. მართლაც, სამი დღის განმავლობაში, რუსი ჯარისკაცები, მხოლოდ საზღვრის გადაკვეთისას ვნახე. რუსეთი თითქოს არ აკონტროლებს აფხაზეთს, მაგრამ აქ მაინც იგრძნობა "მსუბუქი ხელის" კონტროლი.

რუსეთის ეკონომიკურ გავლენებს კი ვერავინ უარყოფს. „საერთაშორისო კრიზისის ჯგუფმა“ ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ აფხაზეთის ბიუჯეტის მეოთხედი პირდაპირი რუსული ტრანსფერებით ივსება. ამ ტრანსფერებში არ შედის ის მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროგრამა, რომელიც რუსეთის დახმარებით გზების, სკოლების, სამთავრობო შენობების აშენებასა და აგრარული პროექტების განხორციელებას გულისხმობს. გარდა ამისა, რუსეთი აფინანსებს აფხაზურ პენსიებსაც.

ეკონომიკა კვალავაც არაჯანსაღია ოტომანური სტილის ბიუროკრატიის დამსახურებით, რასთან გამკლავებაც 250 000 მოსახლეობის მქონე პოლიტიკურ ერთობას არ შეუძლია. „რთულია „ნემსის წვერზე“ ცხოვრება,“ - აღნიშნავს აფხაზეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, სტანისლავ ლაკობა, რუსეთის ეკონომიკურ სუბსიდიებზე ტოტალურ დამოკიდებულებაზე საუბრისას.

■ „სააკაშვილი გამუდმებით ეძებდა შესაძლებლობას, რომ აფხაზებისა და ოსებისათვის რალაცებზე ეთქვა „არა,“ – აცხადებს ზაქარეიშვილი, – „ჩვენ კი ვეძებთ მიზეზებს, რომ ვუთხრათ მათ „დიახ“, რათქმა უნდა, ქართული სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით.“

ლაკობა პატივსაცემი ისტორიკოსია, რომელსაც მე-19 საუკუნეში რუსეთის აფხაზეთში შეჭრასთან დაკავშირებით რუსი პარლამენტარებისგან განსხვავებული მოსაზრება აქვს. ლაკობა არც საქართველოს მეშვეობით ევროპასთან ინტეგრაციის იდეითაა აღფრთოვანებული, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წლის წინ ამ იდეას მიესალმებოდა. „მატარებელმა ჩაიარა,“ - ამბობს ის.

ვიდრე აფხაზეთი საერთაშორისო პოლიტიკისგან ჩამოცილებულებია, მათი შიდა პრობლემები დანარჩენი მსოფლიოსგან ალიარებას ვერ პოულობს. კვლავაც მიმდინარეობს ცხარე დისკუსიები, უნდა გავრცელდეს თუ არა აფხაზური პასპორტები სამხრეთით, გალის რაიონში მცხოვრებ ქართველებზე. მოვისმინე დისკუსია იმის შესახებაც, იქნება თუ არა საქართველოსთვის მომგებიანი აფხაზეთის ალიარება, თუ მხოლოდ მესამე ქვეყნების ალიარებაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი.

მოდერნიზაციის მომხრეებს სურთ, რომ ქართველებმა აფხაზური პასპორტები აიღონ და ალიარებაც მოიპოვონ. ისინი თვლიან, რომ 20 000-მდე ქართველის მიერ აფხაზური პასპორტის აღება მათი სახელმწიფოს მშენებლობის პროექტის წარმატებულობაზე მეტყველებს – საუბარია კოსოვოს მოდელზე „სტანდარტები სტატუსამდე.“

კონსერვატორები კი უარყოფენ ეთნიკური ქართველებისთვის მოქალაქეობის მინიჭების იდეას და თბილისთან ყველანაირი კავშირის განწყვეტის მომხრეები არიან. ლაკობა ეჭვობს, რომ გალელი ქართველებისთვის, რომლებსაც ქართული პასპორტები საიდუმლოდ კვლავაც ექნებათ, აფხაზური პასპორტების მიცემამ შესაძლოა აფხაზეთში „აფეთქება“ გამოიწვიოს.

შგავსი დისკუსია საქართველოში ყურადღებას ვერ იქცევს. აფხაზურ პასპორტებს თბილისი არ ალიარებს (მიუხედავად იმისა, რომ საზღვარზე ყოველდღიური მიმოსვლისას მათ იდენტიფიკაციის საშუალებად იყენებენ). არც აფხაზეთის ალიარება დგას დღის წესრიგში: ის რამდენიმე ადამიანიც კი, ვინც აფხაზეთის ალიარების საკითხს სვამს თუნდაც თეორიულ დონეზე, ამ თემის განხილვას შესაძლებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევს, თუკი

ორასი ათასამდე იძულებით გადაადგილებული პირი დაუბრუნდება თავის საცხოვრებელ ადგილს.

თბილისში აფხაზეთზე საქართველოს სუვერენობისა და დევნილების დაბრუნების თემა მოცემულობად მიაჩნიათ. მთავარ საკითხად ოკუპაციის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები განიხილება, რომლის თანახმადაც, აფხაზებს გარესამყაროსთან ურთიერთობის უფრო მეტი საშუალება უნდა მიეცეთ. ორ სეპარატისტულ რეგიონთან ურთიერთობის გათვალისწინებით, საქართველოს ამჟამად ყველაზე უფრო პროგრესული მთავრობა ჰყავს, რაც კი აქამდე ჰყოლია. მინისტრ პაატა ზაქარეიშვილს არასამთავრობო სექტორის ეგიდით, აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობის ოცნლიანი გამოცდილება აქვს.

ყოფილი ხელისუფლება მიხეილ სააკაშვილისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თაოსნობით, კონფლიქტის ქართულ-რუსულ დაპირისპირებად წარმოჩენას ადგილობრივი წარმომადგენლების მონაწილეობის დაკნინებითა და ქართული ნაციონალიზმის გაძლიერებით ცდილობდა.

მიუხედავად „თანამშრომლობის სტრატეგიისა“, რაც ფურცელზე კარგად იკითხებოდა, აქცენტი მაინც ამ ორი ტერიტორიისთვის „ოკუპირებულის“ წოდებასა და დანარჩენი სამყაროსგან იზოლაციის შენარჩუნებაზე კეთდებოდა. სააკაშვილმა პირადად დაადო ვეტო სამი აფხაზი სტუდენტის ბრიუსელში სწავლის გადაწყვეტილებას.

გასული წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო მუშაობა მსგავსი პრაქტიკის აღმოსაფხვრელად. „საკაშვილი გამუდმებით ეძებდა შესაძლებლობას, რომ აფხაზებისა და ოსებისთვის რალაცებზე ეთქვა „არა,“ – აცხადებს ზაქარეიშვილი, – „ჩვენ კი ვეძებთ მიზეზებს, რომ ვუთხრათ მათ „დიახ“, რა თქმა უნდა, ქართული სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით.“

შედეგი მცირე, თუმცა აღნიშვნის ღირსია. აფხაზეთის ტერიტორიაზე მომუშავე სადაზვერვო სამხედრო შენაერთი გაუქმდა. მდინარე ენგურის გაღალმა სავაჭრო ურთიერთობები უფრო ინტენსიური

გახდა, გასულ კვირას კი ორი ახალი გამშვები პუნქტი გაიხსნა (თუმცა, მაინც რჩება საშიშროება, რომ მომავალ წელს სოჭის ოლიმპიადის დაწყებამდე საზღვარი ჩაიკეტება). მხარეები, როგორც იქნა, ერთმანეთთან საუბრობენ მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის დაკარგულ და ომის დროს გარდაცვლილ ადამიანებზე. ამ ყველაფრის პარალელურად კი ახალი მთავრობის ნებისმიერ ინიციატივას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ რუსული ინტერესების წინაშე კაპიტულაციად აფასებს.

ყველა აღიარებს, რომ აფხაზეთი გაჭიანურებული კონფლიქტია: რუსეთის უძლეველი ძალა წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო საზოგადოების მიერ საქართველოს სუვერენიტეტის აღიარების საკითხთან.

ზაქარეიშვილს კარგად ესმის, რომ გრძელვადიან თამაშშია ჩართული. „ადრე თუ გვიან მიხვდებიან, რომ მათ სჭირდებათ ალტერნატივა საქართველოსა და ევროპის სახით,“ – მითხრა მან.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით საჭიროა თამაშის წესების შეცვლა. ერთადერთი გამოსავალი, რომელსაც ვხედავ, შავი ზღვის გასწვრივ სოჭის, აფხაზეთის, დასავლეთ საქართველოსა და სომხეთის დამაკავშირებელი რკინიგზის აღდგენაა. რკინიგზის აღდგენა მნიშვნელოვანი მოგების მომტანი იქნება მთლიანად რეგიონისთვის. საქართველოს ახალმა მთავრობამ ეს იდეა გასულ შემოდგომაზე გაახმოვანა, თუმცა ინიციატივას წინააღმდეგობა შეხვდა აზერბაიჯანისა და ქართული ოპოზიციის მხრიდან, რუსეთს და აფხაზეთს კი დიდი ენთუზიაზმი არ გამოუხატავთ.

გასაოცარია, რომ ამდენი ადამიანი ეწინააღმდეგება დიდ რეგიონულ პროექტს, რომელსაც დანაწევრებული რეგიონის ხელახლა დაკავშირება შეუძლია. ეს კი მხოლოდ იმაზე მეტყველებს, თუ როგორი კომფორტული გახდა სტატუს-კვო ყველასთვის, რომელიც ხანგრძლივ დისკომფორტს უქადის აფხაზებსაც, ქართველებსაც და სხვებსაც. **■**

პირველად გამოქვეყნდა „The National Interest“-ში ინგლისურიდან თარგმნა ლაშა ქავთარაძემ

Dubai
Dusseldorf
Tehran
Kiev
Brussels

Dubai	Tehran	Kiev	Brussels	Dusseldorf
348 Gel	241 Gel	330 Gel	261 Gel	310 Gel

New Airbus aircraft



We are rewarding you With an exclusive *3% cash back when purchasing a FlyGeorgia Economy or Business class flight online with your MasterCard Travel Card to any destination. Take advantage of our lowest fares offer and you can save even more by shopping securely online!

Log on to flygeorgia.com and apply for your Free FlyGeorgia Travel Card and start saving.

To book a flight, please contact our Call Center at 271 0000


FlyGeorgia
The world awaits you



ფოტო: ლევან სარაქულიძე

"ჩუსათი თაჰისი ალიაჩაბაბის მქაჰანი ბახდა"

ინტერვიუ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ
კაატა ზაქარეიშვილთან

სოფელ დიცში მიმდინარე პროცესებმა ერთხელაც ცხადად დაგვანახა, რომ კონფლიქტის
ზონებში ვითარება ძალიან მყიფეა. საზოგადოებაში დისკუსია გამოიწვია ამ საკითხის
აბაშიძე-კარასინის 5 ივნისის შეხვედრაზე განხილვის ალბათობამაც.

თქვენი აზრით, რა ხდება ბოლო დღეებში დიქციში? რა პოლიტიკური თამაშია?

ასკარად თამაშს აქვს ადგილი. მთავარი მომენტი ისაა, რომ რუსეთმა თავიდან ბოლომდე ჩაკეტა აფხაზეთი. მთლიანად აკონტროლებს ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვარს და გახსნა რამდენიმე ოფიციალური გამშვები პუნქტი. გადასვლა-გადმოსვლას ხელს არ უშლის, მაგრამ მაქსიმალურად აკონტროლებს აფხაზეთში შემსვლელებს – იცის, ვინ შედის, ვინ გამოდის და ა.შ. ახლა სამხრეთ ოსეთის დრო დადგა. სიმართლე რომ ვთქვათ, ახალი და მოულოდნელი არაფერი ხდება. რუსეთი ითვისებს მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიას. ამდენ ხანს მიშვებული იყო – ვისაც უნდოდა გადადიოდა-გადმოდიოდა. ახლა აფიქსირებს, აზუსტებს იმ ტერიტორიას, რომელსაც რუსეთი თავისად, ჩვენ კი ოკუპირებულად ვთვლით. ამიტომ განსაკუთრებულ ვნებათაღელვებს მხოლოდ პოლიტიკური საფუძველი გააჩნია. რეალურად ეს იმის გაგრძელებაა, რაც 2008 წლის აგვისტოში დაიწყო.

ანუ, აქამდე ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვარზე გადასვლა-გადმოსვლა მართი იყო და ახლა გართულდება?

ყოველთვის რისკის ზონა იყო. როგორც წესი, ქართველები ამ არეალს, ამ 200-300 მეტრს მეტ-ნაკლებად ითვისებდნენ, ოღონდ რუსების მეთვალყურეობის ქვეშ. საქონელს აძოვებდნენ, წყაროს იყენებდნენ, მაგრამ რუსის თვალს მუდმივად იქ იყო. ის, რაც ჩვენ გვესმოდა, რომ ვილაცხვებ აპატიმრებდნენ, ძალიან ერთეული შემთხვევებია. საჩვენებლად – ყველას რომ სცოდნოდა, ვინაა აქ პატრონი. ეს ყველაფერი საოკუპაციო რეჟიმის დადასტურებისა და თვითგამოვლენის მიზნით ხდებოდა. მაგრამ დადგა დრო, როცა რუსეთმა ჩათვალა, რომ უკვე საჭიროა შემოავლოს ხაზი. რაც

გააკეთა აფხაზეთში, იმას გააკეთებს ახლა სამხრეთ ოსეთშიც. და ეს იმდენად ქართველების წინააღმდეგ არაა მიმართული, რამდენადაც იმისთვის, რომ იქედან აქეთ გადმომსვლელებზე კონტროლი დაანესოს. ერთ იქეთ გადასულ ქართველზე 20-30 გადმოსული ოსი მოდის.

■ სიმართლე რომ ვთქვათ, ახალი და მოულოდნელი არაფერი ხდება. რუსეთი ითვისებს მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიას. ამდენ ხანს მიშვებული იყო - ვისაც უნდოდა გადადიოდა-გადმოდიოდა. ახლა აფიქსირებს, აზუსტებს იმ ტერიტორიას, რომელსაც რუსეთი თავისად, ჩვენ კი ოკუპირებულად ვთვლით.

გაქვთ ინფორმაცია ადგილობრივი ოსი მოსახლეობის პროტესტის თაობაზე?

მოსახლეობისგან არ მაქვს ინფორმაცია, მაგრამ მაქვს ინფორმაცია ე.წ. ელიტისგან – არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, სამოქალაქო საზოგადოებისგან ცხინვალისგან. ისინი შეშფოთებულები არიან, რომ კიდევ ერთხელ ხდება მათი იზოლაცია. თუ აფხაზებს სხვა გამოსავალი გააჩნიათ – შავი ზღვა აქვთ ბოლოს და ბოლოს, მათ ერთი გვირაბი აქვთ, მეტი არაფერი. დანარჩენი მათ გარშემო მთლიანად საქართველოა. ყველა კუთხე-კუნჭულში საქართველოა. წყალს

დაასხამს, საქართველოში იღვრება და ა.შ. მათი ბუნებრივი საცხოვრისია, აქ ვაჭრობდნენ, თბილისში ჩამოდიოდნენ სამკურნალოდ, ბევრ ოსს ქართულ ბანკებში ჰქონდა ანგარიში, სტუმრები თბილისში, რესტორანში, ჩამოჰყავთ ხოლმე და ამით თავს ინონებენ. ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. რუსეთი დღეს ამას ებრძვის. მას უნდა ოსები, აფხაზებივით მაქსიმალურად მონეციტოს დანარჩენ საქართველოს და ამით თავისი რეჟიმი გაამკაცროს. ეს, საბოლოო ჯამში, კონტრშედეგიანი იქნება, რადგან ამით ოსებს რუსები არ შეუყვარდებათ. არც აფხაზებს და არც ოსებს რუსები არ უყვართ. რუსები ურჩევნიან ქართველებს, მაგრამ მათთვის ქართული კულტურა უფრო მისაღები და გასაგებია, ვიდრე რუსული.

რუსებს უნდათ ქართველები ჩაითრიონ დისკუსიაში, სად გადის ეს არარსებული საზღვარი. საიდან გამოვიდნენ 300 მეტრით? რა არის ის, საიდანაც 300 მეტრით გამოვიდნენ? ანუ შენ უკვე შენს ცნობიერებაში რაღაც ხაზი გააველე, ამას აღიარებ და ამბობ, რა საშინელებაა, რომ 300 მეტრით გამოვიდნენ. რუსებს სწორედ ის უნდათ, რაზეც „ნაციონალური მოძრაობა“ საუბრობს. რუსებს უნდათ, რომ ჩაგვითრიონ. „ამიტომ მათი ქცევა საკმაოდ უტიფარი და თავხედური, რათა საზოგადოებრივი მღელვარება გამოიწვიონ და ვილაცხამ გვითხრას, ბოლოს და ბოლოს რაღაც გააკეთეთ, რამე მოიმოქმედეთო.

თუმცა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა გუშინ თქვა, რომ მავთულხლართების გავლება რომელიმე ჯარისკაცის კი არა, სახელმწიფოს გადაწყვეტილება იყო.

2008 წლის ომისწინა პერიოდი რომ გავისხენოთ, რუსები თვეების განმავლობაში გვაფრთხილებდნენ – ქართველებმა არ გაბედონ და რაიმე ნაბიჯი

არ გადადგან, თორემ ჩვენი რეაქცია იქნება ადეკვატური. ანუ მუდმივად გვაფრთხილებდნენ და გვეუბნებოდნენ, რომ მოსალოდნელი საფრთხეების შემთხვევაში რუსები უკან არ დაიხვედნენ. წინასწარ ცნობილი იყო, რას გააკეთებდნენ.

აფხაზეთშიც ასე იყო. აფხაზეთში რუსებმა წინასწარ განაცხადეს – ჩვენ ავასუნებთ კედელს და 4-5 გამშვებ პუნქტს გავხსნით. მაგალითად, ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების წინ, როცა ანქვები გალში ჩადიოდა-ხოლმე, ადგილობრივებს ეუბნებოდა – ნუ გეშინიათ გალელებო, მალე ერთი გამშვები პუნქტი კი არ იქნება, ოთხ-ხუთს გავაკეთებთ. მერე უკვე გალელები აყვედრდნენ ანქვებს, რატომ არ გაიხსნა აქამდეო. მხოლოდ ახლახან, რამდენიმე დღის წინ მოახერხეს პუნქტების გახსნა.

რა ხდება კარასინის შემთხვევაში? დაიწყო ე.წ. გამყოფი ხაზის დადასტურება რუსეთის მხრიდან და როცა დიდი ხმაური ატყდა საერთაშორისო დონეზე, მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთა კარასინმა ეს განცხადება.

კარასინმა დაადასტურა, რომ ეს სახელმწიფო პოზიციაა. მას უკან არ დაუხვევია...

მინისტრობის გარდა, ანალიტიკოსიც ვარ. ჩემთვის განცხადება არასდროს არის ცალკე განყენებული ფენომენი. ის არის რაღაც სტრუქტურის, რაღაც მოვლენების ნაწილი. კონტექსტში თუ განვიხილავთ განცხადებას, ძალიან გვიან ხდება ეს. ამიტომ მე არ გამოვიცხავ, რომ ეს იყო უკან მიდევნებული სანთელივით, რათა გაემართლებინათ ის, რაც ხდება ცხინვალში.

ამკარად ძალიან დიდი მოძრაობა იყო ქართულ და ოსურ სოფლებს შორის. ბოლო დროს სამხრეთ ოსეთში რუსეთიდან ჩასულმა დელეგაციებმა დააფიქსირეს, რომ საკმაოდ დიდი დენა საქართველოსკენ, მისვლა-მოსვლა ჩვეულებრივი ამბავია. ჩემთვის ჯერ-

-ჯერობით სამუშაო ვერსია ისაა, რომ ადგილობრივმა რუსმა ჩინოვნიკებმა გადაწყვიტეს ამ დენადობის შეჩერება და ამისთვის თვითნებური ქმედებები დაიწყეს.

რუსი ეროვნების ჩინოვნიკებმა ე.წ. სამხრეთ ოსეთში თუ ადამიანებმა, ვინც იქ რუსეთის მთავრობისთვის მუშაობენ?

რუსეთის სახელმწიფოს წარმომადგენლებმა. შეიძლება ოსიც იყოს ეროვნებით. არა სამხრეთ ოსეთის, არამედ რუსეთის ჩინოვნიკებმა, ვინც რუსეთიდანაა მივლინებული სამხრეთ ოსეთში.

ასეთი ბევრია? რას აკეთებენ ისინი ადგილზე?

ჯერ ერთი, სამხედრო ბაზებზე ბევრი სამხედროა. ძალიან ბევრნი სამინისტროებში და სხვადასხვა სტრუქტურებში მუშაობენ.

ანუ სამხრეთ ოსეთის სამინისტროებში რუსეთის ჩინოვნიკები რუსეთიდან მივლინებულების სტატუსით მუშაობენ?

დიახ, სწორედ ამ სტატუსით. სხვათა შორის, ძალიან დიდი და გავლენიანი სტრუქტურაა ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთის საელჩო. როგორც ამბობენ, ელჩმა, რომელიც კარგად ვერადა, ძალიან კარგად იცის ქართული და ქართული პოეზიაც უყვარს. მას დიდი შტატი ჰყავს. ფაქტობრივად სამხრეთ ოსეთში რუსეთის საელჩო მართავს სიტუაციას, ისინი ლეზულობენ ბევრ განწყვეტილებას. გარკვეული ლოგიკისა და ანალიზიდან გამომდინარე არ გამოვიცხავ, რომ ჯერ ადგილზე რაღაცეები გაკეთდა და რუსეთის მთავრობამ შემდეგ აიღო თავის თავზე, რადგან ძალიან გახმაურდა და შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ადგილობრივი ჩინოვნიკების თვითნებობას ჰქონდა ადგილი. ეს არ ჰგავს რუსების ქცევას. რუსები, როგორც წესი, თავხედურად წინასწარ აცხადებენ – ჩვენ ამას გავაკეთებთ – და აკეთებენ კიდევ. ამიტომ, ვერსია,

რაც პრემიერ-მინისტრმა გააუღერა, რომ შესაძლებელია გარკვეულ თვითნებობას ჰქონდა ადგილი, ამჟამად ჩემთვისაც სამუშაო ვერსიაა. რუსულ პოლიტიკაში ადგილობრივი ჩინოვნიკის, მით უმეტეს, სამხედროს თვითნებობა ჩვეულებრივი ამბავია. ანეკდოტებიც კი დადის იმის თაობაზე, როგორ უპირისპირდებიან ერთმანეთს ზოგიერთ რეგიონში რუსეთის საგარეო საქმეთა და შინაგან საქმეთა სამინისტროები.

ეს მიდგომა რაღაცთა მაგონებს შვედრანდის დროს გავრცელებულ ვერსიას კარგი და ცუდი რუსეთის შესახებ...

მე არ მჯერა კარგი და ცუდი რუსეთის, მაგრამ მე მჯერა სხვადასხვა ძალებისა შიგნით რუსეთში, რომლებიც კრემლის ფავორიტობისთვის იბრძვიან და რეგიონებში თავიანთ პოლიტიკას აწარმოებენ. მაგალითად, საგარეო საქმეთა (იქ, სადაც გარეთაა საქმე – აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ბოლომდე არ არის რუსეთის ნაწილი), შინაგან საქმეთა, თავდაცვის სამინისტროები, ადგილებზე თვითნებობენ, თავად ლეზულობენ გადაწყვეტილებებს და ასე უნდათ კრემლის წინაშე საკუთარი თავი წარმოაჩინონ. აქ შეიძლება იყო ჩრდილო კავკასიის გუბერნატორი, რომელიც ძალიან დიდი უფლებამოსილებებითაა აღჭურვილი და თამამ ნაბიჯებს დგამს ისე, რომ არ უთანხმებს სხვადასხვა სამინისტროს.

საუბრობენ, რომ დიციის ინციდენტმა ყენევის პროცესისთვის გარკვეული საფრთხე შექმნა. ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები ვრცელდება იმის თაობაზე, განიხილება თუ არა ეს შემთხვევა აბაშიძე-კარასინის 5 ივნისის შეხვედრაზე პრალაში. თქვენ ხედავთ ყენევის პროცესის დასუსტების საფრთხეს?

საფრთხეს ვერ ვხედავ. ყენევას თავისი უნიკალური ფორმატი აქვს და მას სხვა ფორმატი ვერაფრით ჩაანაცვლებს. კარასინ-აბაშიძის ფორმატი არის

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ზოგადად, კონფლიქტის გარეშე – ეკონომიკური, სავაჭრო, სატრანსპორტო საკითხები.

თუმცა საქართველოს ოფიციალური პირების მიერ კეთდება განცხადებები, რომ პრალაში საზღვრის საკითხსაც განიხილავენ...

განხილვასა და საკითხის დაყენებას შორის დიდი სხვაობაა. იქ საკითხი დადგება, მაგრამ არ იქნება განხილული.

როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ეს?

ალბათ შედგება საუბარი, რომ ის, რაც ხდება დღეში, ხელს უშლის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს.

ანუ, ამას იტყვის აბაშიძე და კარასინი დაეთანხმება, ან არ დაეთანხმება?

კარასინი იტყვის, რომ რაც დღეში ხდება, სჯობს უფრო კარგად შეთანხმებული და გააზრებული იყოს, მაგრამ ჯობს ამაზე ვილაპარაკოთ ჟენევაში.

და შემდეგ საუბარს ღვინოზე გააგრძელებენ?

ალბათ, ასე იქნება. ეს ჩემი ხედვაა, იმიტომ რომ ამ თემაზე სასაუბრო ფორმატი სწორედ ჟენევაშია. თემა იმიტომ წამოიჭრა, რომ ჯერ კარასინი-აბაშიძის შეხვედრა და მერეა ჟენევა. ჯერ ჟენევა რომ ყოფილიყო, კარასინი-აბაშიძე არავის გაახსენდებოდა. ვინაიდან აბაშიძეს უნევს კარასინთან შეხვედრა, გინდა არ გინდა, ამ თემით დაინწყება ლაპარაკი, რათა დააფიქსირონ, რა ფონზე უნდა ილაპარაკონ სხვა საკითხებზე.

თქვენი ოპონენტები ამბობენ, რომ საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა, თუ გადაიდებოდა აბაშიძე-კარასინის შეხვედრა და პირველი კონტაქტი ამ თემაზე ჟენევაში მოხდებოდა.

ამ მოსაზრებას, რა თქმა უნდა,

თავისი საფუძველი და ლოგიკა გააჩნია, მაგრამ მე ვერ ვხედავ ამის აუცილებლობას. გადადებით არაფერი შეიცვლებოდა.

რუსეთს არ ურჩევნია პოლიტიკური საკითხებიც ორმხრივ ფორმატში განიხილოს და არა საერთაშორისო თანამეგობრობის თანდასწრებით ჟენევაში?

არა, პოლიტიკური საკითხები ჟენევა-

■ ამკარად ძალიან დიდი მოძრაობა იყო ქართულ და ოსურ სოფლებს შორის. ბოლო დროს სამხრეთ ოსეთში რუსეთიდან ჩასულმა დელეგაციებმა დააფიქსირეს, რომ საკმაოდ დიდი დენაა საქართველოსკენ, მისვლა-მოსვლა ჩვეულებრივი ამბავია. ჩემთვის ჯერ-ჯერობით სამუშაო ვერსია ისაა, რომ ადგილობრივმა რუსმა ჩინოვნიკებმა გადანყვიტეს ამ დენადობის შეჩერება და ამისთვის თვითნებური ქმედებები დაიწყეს.

ში განიხილება. რუსეთს არანაირად არ აწყობს ჟენევის ფორმატის გაუქმება, იმიტომ რომ, პრაქტიკულად, ის კარგავს კონტაქტებს კავკასიაზე.

გაუქმება არ აწყობს, მაგრამ, იქნებ, არსებითი საკითხების გადმოტანა ამ მისთვის უფრო კომფორტულ ფორმატში

ანყოფს, როცა პირდაპირ დაელაპარაკება აბაშიძეს და არა სხვა მხარეების თანდასწრებით?

მგონი, „ლიბერალი“ არ არის ის ყურნალი, სადაც მხოლოდ რუსეთის საფრთხეებს ხედავენ, თითქოს, არიქა, მოდის რუსეთი. ჩვენ გვაინყებდა, რომ საქართველოც არსებობს. საქართველო ისეთივე სახელმწიფოა, როგორც რუსეთი. რუსეთი უფრო დიდი სახელმწიფოა, რაღაც სტრუქტურებში (მაგალითად გაეროში, ეუთოში) თავისი პლუსები გააჩნია, მაგრამ რაღაცებში საქართველო უპირატესობები აქვს. მაგალითად, კავკასიას კეტავს. საქართველოსთან რუსეთის ცუდი დამოკიდებულება საქართველოს ნაკლებად აზარალებს, უფრო – რუსეთს. საქართველოსთვის რუსეთი დანაკარგი ვერ იქნება, რუსეთი კი დაკარგავს კავკასიას. ქართული გეოპოლიტიკა რუსეთის მართვას არ მოიცავს და რუსეთის გეოპოლიტიკა მოიცავს კავკასიის მართვას. და უცებ, კავკასიის ცენტრალური სახელმწიფო გეცლება. მიწები წაართვი, ტერიტორიები წაართვი – კიდევ უფრო გეცლება. შენკენ არ მოდის. ბლის კურკის ეფექტია. რაც უფრო მაგრად აჭერ ბალს, კურკა უფრო შორს ვარდება. რუსეთი ხედავს – რაც უფრო მეტად ეუხეშება საქართველოს, საქართველო მით უფრო მეტად მიდის ნატოში და ევროკავშირში. სხვა გამოსავალს რუსეთი არც კი სთავაზობს. ამასობაში კი საქართველო უკეთესი ხდება, დემოკრატიული ხდება, აფხაზებისა და ოსების გულს იგებს, ისინი ხედავენ საქართველოს უპირატესობას, რუსეთი რთულ მდგომარეობაშია. ეს ძალიან ღრმა თემაა. ანუ ვინ ვის კარგავს, ეს ჯერ კიდევ საკითხავია.

ყველაზე ცუდი უკვე მოხდა. ეს არ უნდა მომხდარიყო. ომი მოხდა. ამის ეშინოდა შევარდნაძეს. თავისი უნიათო, მოქნილი თუ მოუქნიელი პოლიტიკით ცდილობდა არ დაემვა ის, რაც თავისი უჭკუო და ავანტიურისტული პოლიტი-

კით დაუშვა სააკაშვილმა. ეს საშინელება უკვე მოხდა – რუსეთმა განახორციელა ომი, განახორციელა ოკუპაცია...

...და ბლის კურკა გაისროლა ძალიან შორს.

დიახ. და ყველაზე უარესი უკვე მოხდა. რუსეთი ველარ იქნება მშვიდობისმყოფელი, ვერ იქნება კეთილი მეზობელი, ვიდრე დიპლომატიური ურთიერთობები არ არსებობს. ერთ-ერთი სერიოზული და მნიშვნელოვანი ბმა რუსეთისა საქართველოზე ისაა, რომ ჩვენ არ გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობები. სადაც უნდა წახვიდ-წამოხვიდე, ყოველთვის მიადგები კედელს – ჩვენ არა გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობა. რატომ არ გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობა? იმიტომ, რომ რუსეთმა აღიარა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. როგორც კარგად არ უნდა გაიყიდოს ღვინო, რიტორიკა შეიცვალოს, სოჭის ოლიმპიადა ჩატარდეს, ყოველთვის წითელი აინთება, როგორც კი მიადგები კედელს, რომ არა გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობა.

ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოსთან რუსეთს არა აქვს ის ურთიერთობა, რომლითაც შეიძლება კავკასიაში კარგად გრძნობდეს თავს. საქართველო ყოველთვის ეტყვის – მოდი, დავალაგოთ ურთიერთობები, რა პრობლემაა. წაიღე უკან შენი აღიარება და ვილაპარაკოთ სხვა რაღაცებზე. რუსეთმა უკან რომც არ წაიღოს აღიარება, სხვები არ აღიარებენ. ჩვენი მთავარი პოლიტიკა დღეს არაღიარებაზე მუშაობს. მთელი მსოფლიო – ამერიკა, ევროკავშირი მაქსიმალურ ენერჯის ხარჯავს არაღიარების პოლიტიკაზე და ეს ძალიან ეფექტურია. არაღიარების პოლიტიკა მარტო ის კი არაა, რომ მაგალითად, საფრანგეთი არ აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას. ამას არ აღიარებენ ის ქვეყნებიც, სადაც გავლენები აქვს საფრანგეთს. ასევე ამერიკის შემთხვევაში. შესაბამისად,

რუსეთი თავისი აღიარებების მძევალი გახდა. არა ოკუპაციისა – ოკუპაცია ყოველთვის წარმავალია – აღიარებაა პრობლემა. მას ტვირთად აწევს კვაზი-სახელმწიფოების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება. რუსეთი უკვე ხედავს, რამდენად სულსწრაფი ნაბიჯი გადადგა აღიარებით. მას რომ საკითხი ჰაერში გამოეკიდა, დუმისთვის დაეთმო და დუმას ყოველ წელს მიელო გადა-

■ ყველაზე ცუდი უკვე მოხდა.

ეს არ უნდა მომხდარიყო.

ომი მოხდა. ამის უშინოდა

შევარდნაძეს. თავისი

უნიათო, მოქნილი თუ

მოუქნელი პოლიტიკით

ცდილობდა არ დაეშვა ის,

რაც თავისი უჭკუო და

ავანტურისტული პოლიტიკით

დაუშვა სააკაშვილმა. ეს

საშინელება უკვე მოხდა -

რუსეთმა განახორციელა ომი,

განახორციელა ოკუპაცია...

წყვეტილება – დადგა დრო ვალიაროთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა – და ეს საქართველოს თავზე დამოკლეს მახვილივით დაეკიდა, უფრო მეტს წაიღებდა საქართველოსგან. ყველაფერი მორჩა უკვე. ჩამოიშალა ქართულ-რუსული ურთიერთობები.

მეორე მხრივ, რუსეთს საქართველოსთან ურთიერთობაში, თითქოს, აღარც არაფერი დარჩა დასაკარგი...

დასაკარგი აქვს. საქართველო მიდის ნატოსკენ. ნატო შემოდის კავკასიაში. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო,

ადრე თუ გვიან, ათასჯერ უკეთესი ქვეყანა იქნება, ვიდრე რუსეთია. აფხაზეთსა და ოსებს, რომლებიც კავკასიის ქედის აქეთ არიან, არ უყვართ რუსები. რუსეთის პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიაში საკმაოდ აგრესიულია. პრობლემები აქვს და საქართველოსთან თანამშრომლობა სჭირდება. ისე ჩრდილო კავკასიაში პრობლემებს ვერ მოაგვარებს. ჩვენც გვჭირდება რუსეთთან კარგი ურთიერთობები ჩრდილო კავკასიის გამო. ამიტომ ამ ფონზე, ბუნებრივია, რუსეთი ბევრს კარგავს. ჩვენ საბოლოოდ აფხაზეთსა და ოსებს მინც არ დავკარგავთ. თუ არაღიარების პოლიტიკა იმუშავებს, გავა 7-8 წელი და აფხაზეთი მიხვდება, რომ რუსეთის მიერ აღიარებამ ისინი უფრო მეტად დამოკიდებული გახადა რუსეთზე. ერთმა ძალიან გავლენიანმა აფხაზეთ პოლიტიკოსმა მითხრა – ჩვენ არ გვექონდა აღიარება და გვექონდა დამოუკიდებლობა, დღეს გვაქვს აღიარება და აღარ გვაქვს დამოუკიდებლობა. ანუ, პირდაპირ მივხვდნენ რუსულ ფულზე, რუსულ ენაზე, რუსულ კულტურაზე, რუსულ სამართალზე, რუს სამხედროებზე. ყველაფერი რუსულია დღეს იქ.

ანუ გრძელვადიან პერსპექტივაში, თქვენ შექმნილი ვითარება საქართველოსთვის მომგებიანად მიგაჩნით?

ცალსახად ასეა. ამიტომ ჩვენმა მშვიდმა პოლიტიკამ უნდა გაიმარჯვოს, პრაგმატულმა მშვიდმა პოლიტიკამ. მართლაც არ შეიძლება 300 მეტრის გამო ჩვენ გრძელვადიანი პერსპექტივა ჩავშალოთ.

რამდენი მეტრის, ან კილომეტრის გამო შეიძლება ჩავშალოთ? თუ აღმოჩნდა, რომ ეს მავთულხლართი, რომელიც პოლიტიკური თვალსაზრისით არაფერი არ არის, მაგრამ პრაქტიკულ პრობლემებს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანებს, მოძრაობას განაგრძობს, რა უნდა ქნას სახელმწიფომ?

ბოცხელი
ბეპერიული
ლეგენდა



ამიტომ სახელმწიფომ მოსახლეობა კი არ უნდა წამოიყვანოს იქედან, როგორც ეს სააკაშვილმა გააკეთა და დაცალა რეგიონი, მაგალითად, ახალგორი, არამედ იქ უნდა შეუქმნას ცხოვრების პირობები. სწორედ ამიტომ შეიქმნა მთავრობის სხდომაზე სამუშაო ჯგუფი, რომელიც მალე ადგილზე ჩავა და კონკრეტული ოჯახების ზარალს შეისწავლის.

როგორ წარმოვიდგინოთ ეს? ადამიანებს საცხოვრებელი ეზოები გაეყოთ, საძოვრები გამოყოფ ხაზს მიღმა დარჩათ.

ძნელია ამაზე წინასწარ საუბარი, მაგრამ მაგალითად ისეთივე მიწის ნაკვეთების მიცემა, ოღონდ, რა თქმა უნდა იქვე. სახელმწიფომ ადგილზე უნდა შეინარჩუნოს მოსახლეობა.

უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ დიცილებმა სახლები დატოვეს.

აუცილებლად უკან უნდა დაბრუნდნენ. რა თქმა უნდა, მესმის მათი, რომ ამ წუთას არსებობის საშუალება არა აქვთ. ვისაც შვილები ჰყავს და ყოველდღიური გეგმები აქვს, ბუნებრივია, იმ პირობებში ვერ გაჩერდება, მაგრამ ჩვენ ისეთი პირობები უნდა შევქმნათ, რომ მერე დაბრუნდეს ხალხი.

ცოტა უტყობებს რომ მივმართოთ, ვთქვათ, გადმოინია მათეულხლართებმა კიდეც ორი კილომეტრით, როგორ იქცევა სახელმწიფო ამ შემთხვევაში?

არ გადმოინევა. შეიძლება ადამიანს ჰქონდეს წნევა 500?

მგონი, არა.

არსებობს გონივრული და ბუნებრივი ზღვრები.

300 მეტრი გონივრულია?

300 მეტრი არის ის, რაზეც რუსებს ჩვენთან ვაჭრობა უნდათ. 300 მეტრი ისაა, რაზეც რუსეთი ამბობს, რომ ესაა სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო საზღვა-

რი. ანუ, მე თუ სახელმწიფო საზღვარს ვავლებ, იმის იქეთ ჩემი სახელმწიფოს ტერიტორიად აღარ ვთვლი. ჩვენმა გონივრულმა, პრაგმატულმა პოლიტიკამ უნდა გადაწონოს ემოციები, რაც ჩვენ ახლა გვახრჩობს. ყველას გვახრჩობს და სრულებითაც არაა სასიამოვნო, რაც ხდება. როცა პოლიტიკოსი ხარ, ვალდებული ხარ პასუხისმგებლიანი ნაბიჯი გადადგა.

20 წელია საზოგადოებრივად აქტიური ვარ და რაც არ უნდა შეურაცხყოფა მომაყენონ არ მაღარდებს, როცა მართალი ვარ. პირდაპირ, ჯოჯუტად მივსდევ იმ გზას, რაც სინდისთან შესაბამისობაშია. მაგრამ ბევრს უჭირს საზოგა-

■ ჩვენმა მშვიდმა პოლიტიკამ

უნდა გაიმარჯვოს,

პრაგმატულმა მშვიდმა

პოლიტიკამ. მართლაც

არ შეიძლება 300 მეტრის

გამო ჩვენ გრძელვადიანი

პერსპექტივა ჩავშალოთ.

დოებრივი აზრისთვის წინააღმდეგობის განევა. მე არ მიჭირს. ბატონმა აბაშიძემ თავდაპირველ განცხადებაში თქვა, რომ პრალაში დიციის საკითხს არ განიხილავდნენ. მეორე განცხადება, როცა მან საწინააღმდეგოზე ისაუბრა, ალბათ იმისთვის გაკეთდა, რომ გავარვარებულ ქურაზე ცივი წყალი დაესხა.

ნახეთ, რა ხდება სირიაში. მთელი მსოფლიო წინააღმდეგია, რუსეთმა მიყიდოს იარაღი სირიას, მაგრამ მაინც მიყიდა. რუსეთი ბრუტალური ძალაა – მოდის და მორჩა. შენ არ უნდა მისცე შემოსვლის საშუალება. სამწუხაროდ, ეს დავუშვით და შემოჭრის ადგილას,

როგორც თვითონ უნდა, ისე იქცევა. მე ვიტყვოდი, რომ ეს იმ შემოჭრის ფინალური ფაზაა და უკვე აფორმებს იმ ტერიტორიას, რომელიც დაიპყრო და რომელსაც ჩვენ ოკუპირებულ ტერიტორიას ვეძახით. ეს ყველაფერი წყდება ყენევაში და ყენევის ფორმატში. შეიძლება ყენევაში ითქვას, – ეს საძოვარი მაინც დააბრუნეთო. თუ რუსები იტყვიან, გიბრუნებთო, ძალიან კარგი, არც გამოვირიცხავ, რომ ეს კეთილშობილური საუბარი იქნება, გულისამაჩუყებელი. მერე გვეტყვიან, ეს ტერიტორია თქვენიაო. მათ სწორედ ამგვარ მოლაპარაკებებში უნდათ ჩვენი ჩართვა. განცხადების დონეზე ამაზე საუბარი ორი თვის წინ უკვე იყო – სამხრეთ ოსეთმა შემოგვთავაზა, ჩვენ, მოდით, დავსხდეთ და საზღვრების დემარკაციაზე ვილაპარაკოთო. რაკი ამაზე არ წავედით, იმიტომ იქცევიან ასე. მოდით, გონივრულად ავწონ-დავწონოთ ის საფრთხეები, რაც ასეთ ნაბიჯებს მოყვება.

როცა სააკაშვილმა 9 აგვისტოს ჯარები გამოიყვანა, ეს გონივრული ნაბიჯი იყო, რადგან სხვა არაფერი იქნებოდა, გარდა იმისა, რომ ჩვენს ბიჭებს რუსის ჟანგიან ტანკებს შეახოცავდნენ. პერევი რომ დაიკავეს რუსებმა, რამე მოვუხერხეთ? ბრუტალური ძალის წინააღმდეგ საჭიროა გონიერება. ჩვენი ამოცანაა ჩვენი ხალხი დავიცვათ დღეს იქ, სადაც მათი დაცვა შეიძლება. სადაც დაცვა შეუძლებელია, იქიდან უნდა გადმოვიყვანოთ. დღეს მადლობა ღმერთს, ხალხი არ გვეხოცება, მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. ერთადერთი სერიოზული პრობლემაა – ჩვენს ხალხს საარსებო გარემო შეეზღუდა. ყველაზე იოლი საქმე დავერჩა გასაკეთებელი. ფულზე ლაპარაკი ახლა სასაცილოა, რადგან ადამიანების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ■

ესაუბრა ირაკლი აბსანძე

იპოთეკური სესხი ღარში

10.50%



10.50%



დაივიწყეთ ვალუტის კურსის
მოულოდნელი ცვალებადობა



იშხანი და ოშხი ჰეზიდანის ხელმონაღვის მოცოდინში

იშხნის ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები ისევ ქართველი არქიტექტორებისა და რესტავრატორების ზედამხედველობის გარეშე მიმდინარეობს. თურქეთსა და საქართველოს შორის ორმხრივი ხელშეკრულების ხელმოწერამდე, ქართველი სპეციალისტები ტაო-კლარჯეთის ისტორიულ ძეგლებზე მუშაობის და აღდგენით სამუშაოებზე ზედამხედველობის პროცესში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. თურქეთში გასაგზავნი ხელშეკრულება დიდი ხანია მზად არის, მაგრამ მას პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხელს არ აწერს.

ავორი, ფოტო: მანანა ვარდიაშვილი

„იმის გამო, სახიფათო და უკანონო შესვლის სფეროში აღდგენითი სამუშაოები“, – ასეთი შინაარსის გამაფრთხილებელი წარწერით არის დაკეტილი იშხნის ტაძარი ქართველი დამთავალიერებლებისთვის. ტაძრის მთელი ეზო დიდ სამშენებლო პოლიგონს ჰგავს. მუშები ტაძარს წყლით გაჟღენთილი მიწის დიდ ფენას აცლიან. დასავლეთ მკლავში ხარაჩოებია დამონტაჟებული. აღდგენით სამუშაოებზე რამდენიმე ათეული ადამიანია დასაქმებული. რიგითი დამთავალიერებლების ეგიდით ჩასული ქართველი ტურისტების ხანგრძლივმა ხვეწნა-მუდარამ არ გაჭრა – არც ტაძარში და არც ტაძრის ეზოში არ შეგვიშვეს. იშხნის ტაძრის აღდგენის პროცესში ჩართული ქართველი სპეციალისტებიც ამოდ ვეძებთ. ტაძრის რესტავრაციაზე დასაქმებულ ადამიანთა შორის ინგლისურის, რუსულის ან ქართულის მცოდნეც არავინ აღმოჩნდა, ამიტომ შუასაუკუნეების ქართული კულტურული მემკვიდრეობის ამ უნიკალურ ძეგლზე მიმდინარე სამუშაოების თაობაზე ადგილზე ახალი ვერაფერი გავიგეთ.

იშხანი შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი დიდი სამონასტრო ცენტრია, რომელიც ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე, მდინარე ოლთისისწყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. თავდაპირველი ეკლესია – ბანის ტიპის წრიულ გარსშემოსავლელში მოქცეული ტეტრაკონქი მე-7 საუკუნის 30-იან წლებში ეპისკოპოს ნერსეს აუშენებია. არაბების შემოსევის დროს დანგრეული და მიტოვებული ეკლესია მე-9 საუკუნის პირველ ათეულ წლებში გრიგოლ ხანძთელის მონაფემ, საბა იშხნელმა განაახლა. მე-10 საუკუნეში იგი კვლავ საფუძვლიანად აღადგინეს. საბოლოო სახე ტაძარმა 1032 წელს, ბაგრატ IV-ის მეფობის დროს, ხუროთმოძღვარ ივანე მორჩაისძის ხელში მიიღო.

იშხანზე, რომელიც შუასაუკუნეების ქართულ გუმბათიან არქიტექტურულ ნაგებობათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაგებობაა, თურქულმა მხარემ

აღდგენითი სამუშაოები ორი თვის წინ დაიწყო, აზომვითი და სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელებაზე ტენდერი კი ჯერ კიდევ სამი წლის წინ გამოაცხადა. „იშხნის სარესტავრაციო სამუშაოებზე ტენდერი 2010 წელს ისე ჩატარდა და საპროექტო სამუშაოებიც ისე შესრულდა, რომ ჩვენ – ქართულ მხარეს არაფერი გავიგია. 2010 წელს თურქი მეგობრებისგან გავიგე, რომ ტენდერი ოშკის აზომვით და სარესტავრაციო სამუშაოებზეც ჩატარდა, რაც ქართულ მხარეს ვაცნობეთ კიდევ. როგორც გაირკვა, გამარჯვებული ფირმა არ გამოირჩეოდა გამოცდილებით. მაშინ ჩვენმა მხარემ ტენდერის ჩაშლა ითხოვა, რაც ასეც მოხდა,“ – ამბობს გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის მკვლევარი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ირინე გივიაშვილი, – „ომეზე ტენდერი მეორედ უკვე შარშან გამოაცხადა თურქულმა მხარემ და გამარჯვებულზეც გამოავლინა, ამჯერად იგივე ფირმა, რომელმაც იშხნის რესტავრაციის პროექტი შეასრულა – Anfora Mimarlik Restorasyon-ი. ისინი პროფესიონალი არქიტექტორ-რესტავრატორები არიან სტამბოლიდან. მაგრამ აქვე უნდა დავაზუსტო: ერთია დამპროექტებელი ფირმა და მეორეა შემსრულებელი ფირმა. მოგეხსენებათ, რომ იშხანში სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო და შემსრულებელი მეორე ტენდერით გამოვლინდა“.

თურქეთის მთავრობის მიერ იშხნის რეაბილიტაციაზე გამოცხადებული ტენდერის პირობების თანახმად, სარესტავრაციო სამუშაოები 400 დღეში უნდა დასრულდეს. ქრისტიანული არქიტექტურის ისტორიკოსი ქეთევან აბაშიძე, რომელიც ექსპედიციის ფარგლებში ტაო-კლარჯეთში დაახლოებით თვენახევრის წინ იმყოფებოდა, აცხადებს, რომ იშხნის ტაძრის აღდგენითი სამუშაოები რესტავრაციის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დარღვევით მიმდინარეობდა. „იშხანში ჩვენი ჯგუფის მისვლის დროს იქ არ იმყოფებოდა არქეოლოგი, რესტავრატორი, მხატვა-

■ „იშხანში ჩვენი ჯგუფის მისვლის დროს იქ არ იმყოფებოდა არქეოლოგი, რესტავრატორი, მხატვარი... არ ვგულისხმობ ქართველ სპეციალისტებს. ტაძარზე მიმდინარე სამუშაოებს თურქი არქიტექტორ-რესტავრატორებიც არ ესწრებოდნენ. მუშები ზედამხედველის გარეშე მუშაობდნენ, თანაც ნიჩბებით და წერაქვებით. ტაძრის ეზოში მძიმე ტექნიკა დადიოდა... ერთი შეხედვითაც ცხადი იყო, რომ აღდგენით სამუშაოებზე დასაქმებულ პერსონალს არქიტექტურულ ძეგლებზე მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ისინი არ იცნობდნენ ტაძარს და მის ისტორიას. აღდგენითი სამუშაოების დროს ტაძრის ინტერიერში მოჭიქულ იატაკს და უცნობ სამარხს მიაკვლიეს. იმის გამო, რომ ამ დროს იქ არქიტექტორ-რესტავრატორები არ იმყოფებოდნენ, მნიშვნელოვანი ისტორიული და არქეოლოგიური ინფორმაცია დაიკარგა, იატაკი კი დაზიანდა“.



იშხანი



იშხნის ტაძრის რესტავრაციისას აღმოაჩინეს მოჭიქული იატაკი. აქამდე მის შესახებ არაფერი იცოდნენ.



ეს არის ტაძრის ძველი ქვა, რომელზეც ფრესკის მთელი სახე ჩანს. მეჩეთის მოსაწყობად ამ ქვებით გვიან შუა საუკუნეებში კედელი აშენდა.

ფოტო: ანა კულაძე

ფოტო: ირინე ბილაშვილი

რი... არ ვგულისხმობ ქართველ სპეციალისტებს. ტაძარზე მიმდინარე სამუშაოებს თურქი არქიტექტორ-რესტავრატორებიც არ ესწრებოდნენ. მუშები ზედამხედველის გარეშე მუშაობდნენ, თანაც ნიჩბებით და ნერაქვებით. ტაძრის ეზოში მძიმე ტექნიკა დადიოდა... ერთი შეხედვითაც ცხადი იყო,

რომ აღდგენით სამუშაოებზე დასაქმებულ პერსონალს არქიტექტურულ ძეგლებზე მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ისინი არ იცნობდნენ ტაძარს და მის ისტორიას. აღდგენითი სამუშაოების დროს ტაძრის ინტერიერში მოჭიქულ იატაკს და უცნობ

სამარხს მიაკვლიეს. იმის გამო რომ ამ დროს იქ არქიტექტორ-რესტავრატორები არ იმყოფებოდნენ, მნიშვნელოვანი ისტორიული და არქეოლოგიური ინფორმაცია დაიკარგა, იატაკი კი დაზიანდა“.

გარდა ამისა, მუშებმა მოხსნეს მეჩეთის მოწყობის მიზნით ტაძრის ერთ-ერთ მკლავში გვიან შუა საუკუნეებში მიშენებული კედელი, რომელიც ტაძრის ძველი ქვებით იყო აგებული. ქვები, რომლებზეც ფრესკებისა და ორნამენტების ფრაგმენტებია შემორჩენილი, ტაძრის ინტერიერში მიწის მოხსნისას აღმოჩენილ კერამიკულ ნაშთებთან ერთად ეზოში, ღია ცის ქვეშ დაყარეს.

17 აპრილს თურქეთში ქართველ სპეციალისტთა დელეგაცია ჩავიდა. დელეგაციის წევრებმა იშხანზე მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოები დაათვალიერეს და თურქ კოლეგებს რეკომენდაციები მისცეს. მათ შორის იყო ირინე გივიაშვილიც. „თურქულმა მხარემ გვთხოვა რეკომენდაციების მომზადება და წერილობით მიწოდება, რაც იშხანიდან დაბრუნებულებმა მეორე დღესვე გავაკეთეთ და საგარეო საქმეთა სამინისტროს საშუალებით რეკომენდაციები ანკარას გავუგზავნეთ. როგორ სრულდება ეს რეკომენდაციები, ვერ გეტყვით. ვიცი, რომ არქეოლოგი აბდულჰადი დურკჰანი ჩვენი ჩასვლის დღიდან მუშაობს. მართალია, მას ქართულ მასალაზე ადრე არასოდეს უმუშავია, მაგრამ შორიდან როგორც ჩანს, ის პროფესიონალია და საქმეს აკურატულად აწარმოებს. სხვა რეკომენდაციებიდან ვიცი, რომ იატაკზე დამცავი მიწის საფარი ამალგებულია, ასევე მიმდინარეობს საინჟინრო პროექტზე მუშაობა. დანარჩენზე ვერაფერს გეტყვით. ობიექტი მნახველებისთვის დაკეტილია. ერთ-ერთი ტურისტის მიერ გამოქვეყნებულ ფოტოზე ჩანს, რომ საკურთხევლის ჩრდილო-აღმოსავლეთ დანგრეული კედლის აღდგენა დაიწყო. თუმცა სრული ინფორმაცია არ გამაჩნია,“ – ამბობს ირინე გივიაშვილი.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, რომ ქართულ-თურქულ მხარეებს შორის „ერ-



თჯერადი ფორსმაჟორული შეთანხმება“ შედგა და თურქულმა მხარემ ქართველი სპეციალისტების ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა და ყველა უხეში დარღვევა აღმოფხვრა: იმისთვის, რომ ტაძრის ინტერიერში ახლადაღმოჩენილი იატაკი არ დაზიანებულიყო, ის მიწის ფენით დაფარეს და ხარაჩოები ზედ გადებულ ფიცრებზე დაამონტაჟეს, ფრესკიანი ქვები და ახლადაღმოჩენილი კერამიკის და მარმარილოს ნაშთები კი დაცულ სათავსოში გადაიტანეს. გარდა ამისა, ტაძარში მიმდინარე სამუშაოებს უკვე მუდმივი ზედამხედველი ჰყავს. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში „ლიბერალს“ განუცხადეს, რომ ერთობლივი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თაობაზე ორმხრივი ხელშეკრულების ხელმოწერამდე, ქართველი სპეციალისტები ძეგლებზე მუშაობასა და აღდგენით სამუშაოებზე ზედამხედველობის პროცესში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა-გამაგრების თაობაზე მოლაპარაკებები თურქეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის ექვსი წლის განმავლობაში მიმდინარეობს. ორმხრივი ხელშეკრულების ხელმოწერის პროცესი ამ წლების განმა-

■ თუ ქართულმა მხარემ არ მიიღო გადაწყვეტილება მეზობელ ქვეყანასთან თანამშრომლობის ფორმების ლეგალიზაციის შესახებ, იგივე მოხდება სხვა ქართული ეკლესიების რესტავრაციის შემთხვევაშიც.

ვლობაში ორჯერ სწორედ საქართველოს მხრიდან ჩაიშალა. საქართველოსა და თურქეთის მთავრობების შეთანხმებამ, თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე იშხნისა და ოშკის ტაძრების რესტავრაციის სანაცვლოდ ბათუმში გასული საუკუნის 30-იან წლებში დამწვარი აზიზიეს მეჩეთის ზუსტი ასლი აშენებულიყო, საქართველოს საპატრიარქოს მძაფრი პროტესტი გამოიწვია და ყოფილმა ხელისუფლებამაც უკან დაიხია.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ რამდენიმე თვის წინ ორმხრივი ხელშეკრულების ახალი ვარიან-

ტი მოამზადა, რომელშიც აზიზიეს მეჩეთის მშენებლობის საკითხი ახმედის მეჩეთის რესტავრაციამ ჩაანაცვლა. ქართული მხარე თანახმაა, ტაო-კლარჯეთის ძეგლებზე მიმდინარე სამუშაოებში ქართველი მეცნიერებისა და რესტავრატორების ჩართვის სანაცვლოდ რაბათის კომპლექსის არარესტავრირებული ზონა თურქი სპეციალისტების რეკომენდაციის მიხედვით აღადგინოს და მათი შენიშვნებიც გაითვალისწინოს: თურქული მხარე ახმედის მეჩეთის გადახურვის შეფერილობის და კედლებზე არსებული ახალი ცხაურების სტილის შეცვლას მოითხოვს.

ერთობლივი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თაობაზე ორმხრივი ხელშეკრულების ხელმოწერის პროცესი ისევ შეფერხდა. „თითქოს იყო თანხმობა, რომ ქართული მხარე ჩართულიყო, მაგრამ ეს მხოლოდ თურქული მხარის ერთჯერად კეთილ ნებას წარმოადგენდა და არა შეთანხმებას საერთო კულტურულ მემკვიდრეობაზე სათანამშრომლოდ. ხელშეკრულება არის გასაფორმებელი, მაგრამ ამ შეთანხმებას ყოველ ჯერზე ბევრი სხვადასხვა ოპონენტი გამოუჩნდა. ამასობაში კი იშხნის რეაბილიტაცია დაიწყო და ის ჩვენი მხარის აქტიური მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობს.

თუ ქართულმა მხარემ არ მიიღო გადაწყვეტილება მეზობელ ქვეყანასთან თანამშრომლობის ფორმების ლეგალიზაციის შესახებ, იგივე მოხდება სხვა ქართული ეკლესიების რესტავრაციის შემთხვევაშიც. გამონაკლისი შეიძლება იყოს ოშკი, რომელიც ძეგლთა მსოფლიო ფონდის საზედამხედველო სიაშია. თუმცა ეს არ გულისხმობს ქართული მხარის მონაწილეობას. ძეგლთა მსოფლიო ფონდის საზედამხედველო სიაში ყოფნამ შესაძლოა, ძეგლი დაიცვას ისეთი უხეში დარღვევებისგან, რომლებიც იშხნის რესტავრაციის სანაყის ეტაპზე დაფიქსირდა,“ – ამბობს ირინე გივიაშვილი.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, მარინა მიზანდარი, ქართულ მედიასთან



ხანძია



ოთხას ეკლესია



საუბარში აცხადებს, რომ ერთობლივი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თაობაზე ორმხრივი ხელშეკრულება ამჯერად პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შეყოვნდა – პრეზიდენტი სააკაშვილი მეორე თვეა ხელშეკრულებას ხელს არ აწერს. ამასობაში კი, თურქეთის რესპუბლიკამ შესაძლოა, იშხნის ტაძარში მიმდინარე „რესტავრაციის“ მსგავსი პროცესი ახლა უკვე ოშკის სამონასტრო კომპლექსში დაიწყო.

ქართველი სპეციალისტების განსაკუთრებულ შეშფოთებას ახლა სწორედ ოშკი იწვევს. 1050 წლის წინ აშენებულ ოშკის სამონასტრო კომპლექსს რესტავრაცია არასოდეს ჩატარებია. ოშკის თაღს ახლა ხის შედგმული ბოძი იკავებს. სპეციალისტთა განმარტებით, გაუფრთხილებელი სარესტავრაციო სამუშაოების დაწყების შემთხვევაში ტაძარი, შესაძლოა საერთოდ დაიშალოს. **■**





სოხვატია 28-ე ევროკავშირი

2013 წლის 1 ივლისს სორვატია ევროკავშირის წევრი ხდება. ამის შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია.

მარიამ ასანიშვილი

ხორვატიის ევროკავშირში განვერიანების პროცესი 12 წელი და 4 თვე გაგრძელდა. „ჩვენ გამოვიყენეთ ეს დრო, რათა აგვეშენებინა კარგი ინსტიტუციური სისტემა და ქვეყანას სტაბილურობა მოეპოვებინა.“ – აცხადებს ხორვატიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვესნა პუსიჩი. ამ გაფართოების შედეგად ევროკავშირი სერბეთს, მონტენეგროს და ბოსნია-ჰერცეგოვინას მეზობელი ხდება. ევროკავშირის თანამდებობის პირები იმედოვნებენ, რომ ამ გაფართოვებით დასავლეთ ბალკანეთი საგრძნობლად გაძლიერდება და უფრო სტაბილური გახდება.

2007 წლის მერე ეს ევროკავშირის პირველი გაფართოებაა. ხორვატიის ევროკავშირში მიღების შედეგად ევროკავშირის მოსახლეობა 4,2 მილიონი ადამიანით გაიზარდება.

არსებობს მოსაზრება, რომ ხორვატიას არ გაუმართლა და ევროკავშირს ცუდ დროს უერთდება, რადგან დასავლეთ ევროპის წამყვან ქვეყნებსაც კი ფინანსური კრიზისის პირობებში განვითარება უჭირთ. მიუხედავად ამისა, ხორვატიის მოსახლეობის უმრავლესობა მაინც დიდი ენთუზიაზმით ხვდება ევროკავშირში შესვლას და ამ ფაქტს ბოლო ათწლეულის მთავარ მიღწევას უწოდებს. 2012 წლის იანვარის რეფერენდუმში მოსახლეობის 66%-მა მხარი დაუჭირა ხორვატიის ევროკავშირში ინტეგრაციას. თუმცა არიან სკეპტიკოსებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია ბევრი ფინანსური ვალდებულების აღებასთან ასოცირდება, რასაც შეიძლება უარყოფითი შედეგები მოჰყვეს. ასევე პრობლემაა ისიც, რომ როდესაც ქვეყანა ევროკავშირში წევრიანდება, როგორც წესი, ფასები ყველაფერზე იმატებს, ინტეგრაციიდან რამდენიმე წელიწადში კი ეკონომიკა ბევრად მყარი და გამართული ხდება.

ხორვატიაში არსებობს მოსახლეობის ნაწილი, რომელიც ევროკავშირის შესახებ საერთოდ არ არის ინფორმირებული. ამა წლის მარტს ერთ-ერთმა ხორვატიელმა საკუთარი სახლის წინ ევროკავშირის

დროშა გამოკიდა. ამან მისი ბევრი მეზობლის დაინტერესება გამოიწვია და ბევრი კითხულობდა, თუ რომელი ისლამური ქვეყნის იყო ყვითელვარსვლავებიანი ლურჯი დროშა. ადგილობრივმა გაზეთმა გამოძიებაც კი ჩაატარა იმის შესახებ, კანონიერი იყო თუ არა ევროკავშირის დროშის აღმართვა სახლის წინ. მეორე მხრივ, ევროკავშირის მოსახლეობაც არ არის საკმარისად ინფორმირებული ხორვატიის ისტორიისა და კულტურული ფასეულობების შესახებ.

ხორვატიის მიმართ ისმის ბევრი კრიტიკა და უამრავი კითხვა პასუხგაუცემელი რჩება – განსაკუთრებით, კორუფციასთან დაკავშირებული საკითხები და ურთიერთობა სერბეთთან. ბოლო ხანებში ასევე აქტუალურია ტრეფიკინგის გახშირებული შემთხვევებიც. ხორვატიის პრემიერ-მინისტრი ზორან მილანოვიჩი აცხადებს, რომ სურს პოზიტიური ურთიერთობების დამყარება სერბეთთან და იმედს იტოვებს, რომ სერბეთიც მალე შეუერთდება ევროპის კავშირს. 1991 წელს ომის დაწყებამდე ხორვატიის მოსახლეობის 14%-ს ეთნიკურად სერბები შეადგენდნენ. დღეს მათი რიცხვი 4%-მდე შემცირებული. მოსახლეობის ნაწილი ომის მსხვერპლი გახდა, დანარჩენისთვის კი ზენოლის პირობებში გაუსაძლისი გახდა ხორვატიაში ცხოვრება და სერბეთში დაბრუნდა. ეს ციფრები და სტატისტიკა ხორვატიის სასარგებლოდ სულაც არ მეტყველებს.

ბოლო 20 წლის განმავლობაში ხორვატიამ გადაიტანა ომი და ინვანია მისი შედეგები, ამას მოჰყვა ინფრასტრუქტურის თავიდან მშენებლობა, ტურიზმის მასიური განვითარება და შესაბამისად, ეკონომიკური ზრდა. გასულ წელს ხორვატიას ქვეყნის არსებობის ისტორიაში ყველაზე ბევრი, 10 მილიონამდე ტურისტი ესტუმრა, განსაკუთრებით პოპულარულია ქალაქები ზადარი, დუბროვნიკი და სპლიტი, რომლებიც ულამაზესი სანაპირო ზოლით და ლამაზი არქიტექტურული ნაგებობებით გამოირჩევა.

მიუხედავად ამისა, ხორვატიას, ისევე

■ 2007 წლის მერე ეს ევროკავშირის პირველი გაფართოებაა. ხორვატიის ევროკავშირში მიღების შედეგად ევროკავშირის მოსახლეობა 4,2 მილიონი ადამიანით გაიზარდება.

როგორც ევროზონის ყველა სახელწიფოს, ეკონომიკური რეცესიის პრობლემა ბოლო 5 წელია ანუხებს. უმუშევრობა იზრდება და ექსპერტთა დასკვნით, წლევანდელ წელს უმუშევართა რიცხვი მოსახლეობის 20%-ზე მეტს შეადგენს, ახალგაზრდების უმუშევრობის დონე კი ბევრად უფრო მაღალია და 50%-მდე აღწევს. ხორვატიას ასევე ადანაშაულებენ იმაში, რომ სოფლის მეურნეობის რესურსს სათანადოდ არ იყენებს – ამ სფეროს განვითარებას კი დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია ეკონომიკურ ზრდაზე. ასევე მცირდება ინვესტიციების რაოდენობაც, 2008 წელთან შედარებით ინვესტიციების რაოდენობამ ხორვატიაში 80%-ით იკლო.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ოფიციალური ბრიუსელი იმედოვნებს, რომ ხორვატია მზად არის ევროკავშირის წევრობისთვის და ქვეყნის მიღწევებზე უთითებს, რომელთა შორისაა: წარმატებული თანამშრომლობა იუგოსლავიის ტრიბუნალთან ჰააგაში და შედეგად, ტრიბუნალში დაგროვილი საქმეების საგრძნობი შემცირება; უმცირესობათა უფლებების დაცვის გაუმჯობესება. თუმცა ასევე არსებობს შიში, რომ ხორვატიამ, შესაძლოა ბულგარეთის და რუმინეთის მსგავსი გზა აირჩიოს და ევროკავშირში განწევრიანებისთანავე შეწყვიტოს რეფორმების პროცესი. რომელიც დღემდე ინტენსიურად მიმდინარეობს. კანონმდებლობა სწრაფად იცვლება, რათა ქვეყნის შიდა სამართალი შესაბამისობაში მოვიდეს ევროკავშირის სამართლებრივ სტანდარტებთან. თუმცა სწრაფი ცვლილებები ყოველთვის პოზიტიური არ არის – ბევრი ექსპერტი შიშობს რომ სწრაფი ცვლილებები კანონების ხარისხიანობას შეამცირებს, არ იარსებებს საკმარისი პრაქტიკა და ამით კანონის არასწორ ინტერპრეტაციას შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

კორუფცია ხორვატიაში დღემდე დიდ პრობლემას წარმოადგენს. გასულ წელს ხორვატიის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ივო სანადერს, 10 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს უნგრულ ელექტროენერჯის

კომპანიასა და ავსტრიულ ბანკთან კორუფციულ გარიგებაში შესვლის გამო. ამის შედეგადაც ქვეყნის ბიუჯეტმა 5 მილიონი ევრო იზარალა. ასევე გახმაურდა საქმე, თუ როგორ აძლევდა ქრთამს აფთიაქების ქსელი „ფარმალი“ ექიმებს, რათა პაციენტებისათვის „ფარმალის“ პრეპარატები გამოენერათ.

მიუხედავად დიდი კორუფციული საქმიანობების გამოვლენისა და დასჯისა, როგორც საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები იუწყებიან, კორუფციის ხორვატიაში მინც ღრმად აქვს ფესვები გადგმული. ისჯებიან გამოვლენილ კორუფციულ გარიგებებში მონაწილე პირები, თუმცა არ ხდება ქონების სათანადო კონფისკაცია.

როგორც ევროკომისარი გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულე აცხადებს, რომ „ხორვატიის ევროკავშირში ინტეგრაცია უნდა გახდეს კიდევ ერთი მიზეზი რეფორმების პროცესის გაგრძელებისთვის. ჩვენ ველით ხორვატიისგან უფრო მეტ ნაბიჯს კანონის უზენაესობის გასამყარებლად და კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად.“

ხორვატიის პრემიერ-მინისტრი ენთუ-ზიაზმით არის განწყობილი და იძლევა დაპირებებს, რომ რეფორმები აუცილებლად გაგრძელდება და ხორვატია ევროკავშირის წევრობას დაიმსახურებს. „1991 წელს ჯერ კიდევ იურიდიული ფაქულტეტის სტუდენტი ვიყავი, როცა გამიმართლა და ჰოლანდიაში მოვხვდი იმიტირებულ სასამართლო პროცესზე. მას მერე რაც ვნახე როგორ ცხოვრობდა ხალხი განვითარებულ დასავლეთში, ჩემთვის თვითმიზნად იქნა ჩემი ქვეყანა დიდი ევროპული ოჯახის ნაწილი გამხდარიყო.“ – განაცხადა ხორვატიის პრემიერ მინისტრმა ბიბისი-სთან ინტერვიუში.

ხორვატიის პრემიერის სტუდენტობის დროინდელი ოცნება ასრულდა. რას მოუტანს ხორვატია ევროკავშირს და პირიქით, ამას 1 ივლისის შემდგომ განვითარებული მოვლენები გვიჩვენებს. **□**

■ ბოლო 20 წლის განმავლობაში ხორვატიაში გადიტანა ომი და ინვინა მისი შედეგები, ამას მოჰყვა ინფრასტრუქტურის თავიდან მშენებლობა, ტურიზმის მასიური განვითარება და შესაბამისად, ეკონომიკური ზრდა. გასულ წელს ხორვატიას ქვეყნის არსებობის ისტორიაში ყველაზე ბევრი, 10 მილიონამდე ტურისტი ესტუმრა, განსაკუთრებით პოპულარულია ქალაქები ზადარი, დუბროვნიკი და სპლიტი, რომლებიც ულამაზესი სანაპირო ზოლით და ლამაზი არქიტექტურული ნაგებობებით გამოირჩევა.

A promotional poster for the TV show 'Sherlock'. It features the two main characters, Sherlock Holmes and John Watson, walking towards the viewer in a dark, foggy street. Sherlock is on the left, wearing a long dark coat and a blue scarf. John is on the right, wearing a dark jacket over a checkered shirt. The background is a misty, grey street with faint, ghostly images of the characters' faces. The title 'SHERLOCK' is written in large, white, distressed letters across the middle.

SHERLOCK

3308 | 080808 | 080808
22:00 080808



ნდობა და უნდობლობა "უხუენველიყოფილი სომხეთის" მიმართ

სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის ახალი პროგრამა ნაციონალურმა კრებამ უმძაფრესი სამდღიანი განხილვის შემდეგ მიიღო, ისიც მხოლოდ კოალიციური ნაწილის ხმების წყალობით. ოპოზიციურმა ფრაქციებმა პროგრამის წინააღმდეგ მისცეს ხმა.

კარინე ასატრიანი

სომხეთის კონსტიტუციის თანახმად, 18 თებერვლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მთავრობამ ეროვნულ კრებას განსახილველად მოქმედების ახალი პროგრამა შესთავაზა.

„უზრუნველყოფილი სომხეთის“ მთავრობისეულ ხედვას ოპოზიციონერმა დეპუტატებმა კრიტიკის ქარ-ცეცხლი შეაგებეს. ამას ხელისუფლების მომხრე დეპუტატების პასუხი მოჰყვა და ბოლოს ამ მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა ლამის ქუჩურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა, რომლის დროსაც დეპუტატები ერთმანეთს ქურდებს და თაღლითებს უწოდებდნენ.

მმართველი რესპუბლიკური პარტიის ფრაქციის მეთაურის, გალუსტ სააკიანის გამოსვლა განსაკუთრებით გამოირჩეოდა შეურაცხმყოფელი ტონით ოპოზიციონერი დეპუტატების მიმართ.

„შეიძლება, პროგრამა არ მოგწონდეთ, მაგრამ ასეთი ღვარძლიანებიც ნუ იქნებით, თუ შხამს აფრქვევთ, ფუტკრის შხამი მაინც იყოს. საინტერესოა, რის წინააღმდეგ აძლევს ხმას ოპოზიცია? კორუფციასთან ბრძოლის წინააღმდეგ? ხელფასების ზრდის წინააღმდეგ? გენერალური პროკურორი, როგორც წესი, მხოლოდ კრიმინალებს, არ მოსწონთ,

– თქვა სააკიანმა და დასძინა: „ზოგიერთი ბანოვანი უნდა მიეჩვიოს იმ აზრს, რომ ეს კრება ტრასა არ არის, და თუ გამვლელი მანქანები არ უჩერებენ, ნუ ეწყინება.“

„სომხეთის რესპუბლიკური პარტიის“ ფრაქციის ლიდერმა თავისი განცხადების ბოლო ნაწილში ზარინე ფოსტანჯიანი იგულისხმა, ოპოზიციური პარტიის „მემკვიდრეობის“ დეპუტატი, რომელმაც თავის გამოსვლაში სომხეთის გენერალური პროკურორი აღვან ოვსეპიანი მძაფრად გააკრიტიკა.

ფრაზა, რომლითაც სააკიანმა ოთხი შვილის დედას, ზარუი ფოსტანჯიანს მიმართა, უკვე რამდენიმე დღეა საზოგადოებრივი განხილვის თემაა. ფრაქცია „მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელმა, რუბენ აკოპიანმა განაცხადა, რომ სააკიანმა მამაკაცისთვის შეუფერებელი საქციელი ჩაიდინა და ახლა ზარუი ფოსტანჯიანის წინაშე ეროვნული კრების კათედრიდან ბოდიში აქვს მოსახდელი. გალუსტ სააკიანი ბოდიშის მოხდას არ აპირებს: „თუ ქალი ჰქვია, მაშინ ისე მოიქცევეს, როგორც ქალს შეეფერება“, – ამბობს დეპუტატი.

ახალი პროგრამისათვის კენჭისყრამდე რესპუბლიკური პარტიის ფრაქციის სამიზნედ სხვა ოპოზიციონერი

დეპუტატებიც იქცნენ. მაგალითად, ფრაქციის „სომხური ნაციონალური კონგრესი“ ლიდერი ლევონ ზურაბიანი, რომელსაც სააკიანმა „ნული“ უწოდა. ლევონ ზურაბიანი ვიცე-თავმჯდომარეა „სომხური ნაციონალური კონგრესისა“, რომელსაც სათავეში სომხეთის პირველი პრეზიდენტი, ლევონ ტერ-პეტროსიანი უდგას. მიყენებული შეურაცხყოფა ზურაბიანს სერიოზულად არ აღუქვამს. მამასადამე, სომხეთში ნოლს პრემიერ-მინისტრისა და უმრავლესობის ფრაქციის ლიდერის წონასწორობიდან გამოყვანა შეძლება“ – ასეთი იყო მისი რეაქცია.

თუმცა პროგრამის განხილვის დროს წონასწორობა მხოლოდ მან კი არა, რესპუბლიკელმა მინისტრებმაც დაკარგეს.

„ყველაფერი ერთბაშად და უცბად გვიანდა? ასე არ გამოვა, პრობლემების გადაჭრა ასე ადვილი არ არის! იქნებ თვით საზოგადოებაც არაა მზად საამისოდ?“ – ვერ მოითმინა იუსტიციის მინისტრმა გრაირ ტოვმასიანმა. განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა არმენ აშოტიანმა „ნაციონალური კონგრესის“ დეპუტატების მოთხოვნაზე, დაისაჯოს არსებული ხელისუფლება, მათ შეახსენა, რომ ზოგი მათგანი მთავრობის შემადგენლობაში

მისი, აშოტიანის დანიშვნამდე დიდი ხნით ადრე შედიოდნენ: თქვენი მაშინდელი მოღვაწეობა გაპატიეთ, მაგრამ არ დაგვეწყობია.“

ბუნებრივია მთავრობის წევრებს და კოალიციის დეპუტატებს ისეთი პროგრამის კრიტიკა არ მოეწონათ, რომლის თანახმადაც ადამიანებს ხელფასები და პენსიები უნდა მოემატოთ, ხელახლა უნდა ამუშავდეს სანარმოები, კორუფციას და სიღარიბეს ბრძოლა უნდა გამოუცხადდეს, გლეს დახმარება უნდა მიეცეს, სხვადასხვა სფეროს რეფორმირება უნდა დაიწყო.

„სომხეთის მთავრობა სიტყვას იძლევა, რომ ერთგულად, თავდადებით იმუშავებს, ჩვენ მიერ განეული სამუშაოს შედეგებს ნებისმიერი მოქალაქე იგრძნობს,“ – განაცხადა პროგრამის წარდგენისას ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ტიგრან სარქისიანმა. ოპოზიციას უნდობლობის საფუძველი აქვს: ამგვარი სამუშაო გასული წლების განმავლობაში ნამდვილად არ განეულა. მთავრობის შემადგენლობა თითქმის არ შეცვლილა, ადგილები შეინარჩუნეს იმ მინისტრებმაც კი, რომელთაც ოპოზიციონერი დეპუტატები ყველაზე მეტად აკრიტიკებდნენ.

„ნაციონალური კონგრესის“ დეპუტატის, ნიკოლა პაშინიანის შეფასებით, მოქმედი მთავრობა მხოლოდ დეიურე პოლიტიკური ორგანოა. „მთავრობის შემადგენლობაში არ არიან პოლიტიკური ფიგურები. მათი ბიოგრაფიები რომ შეისწავლოთ, აღმოაჩენთ, რომ მათი ერთი ნაწილი საკუთარი პარტიებიდან გამოვიდა, რათა მთავრობის შემადგენლობაში მოხვედრილიყო, მეორე ნაწილმა კი კოალიცია შექმნა, რომ მინისტრების პოსტები არ დაეკარგათ,“ – ამბობს დეპუტატი. იმავე ფრაქციის დეპუტატი არამ მანუკიანი თვლის, რომ მოქმედი მთავრობა, არაფერს აკე-

თებს, მაგალითად, მონოპოლიებთან საბრძოლველად. „ოლიგარქები საგადასახო სფეროს მიღმა დგანან, მათ მიერ გადაუხდელი გადასახადების მთლიანი ჯამი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტს აღემატება“, – აცხადებს მანუკიანი.

1991 წლის შემდეგ, როცა სომხეთმა დამოუკიდებლობა მიიღო, პრეზიდენტის პირველივე არჩევნების შედეგები ოპოზიციამ ეჭვქვეშ დააყენა. გამო-

■ ბუნებრივია მთავრობის წევრებს და კოალიციის დეპუტატებს ისეთი პროგრამის კრიტიკა არ მოეწონათ, რომლის თანახმადაც ადამიანებს ხელფასები და პენსიები უნდა მოემატოთ, ხელახლა უნდა ამუშავდეს სანარმოები, კორუფციას და სიღარიბეს ბრძოლა უნდა გამოუცხადდეს, გლეს დახმარება უნდა მიეცეს, სხვადასხვა სფეროს რეფორმირება უნდა დაიწყო.

ნაკლისი არც 2008 და 2013 წლების საპრეზიდენტო არჩევნები ყოფილა, რომელთა შედეგების თანახმად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სომხეთის პრეზიდენტად სერჟ სარქისიანი ალიარა. მოქმედი მთავრობა სწორედ ამ გამარჯვების ნაყოფია.

18 თებერვლის არჩევნებიდან სულ სამი თვეა გასული. სომხეთში არჩევნების შემდგომი ვნებები ჯერ არ განელეზულა. პარტიის „მემკვიდრეობა“ ლიდერი რაფი ოვანესიანი, რომელმაც ცსკ-ს მონაცემებით მეორე ადგილი დაიკავა, მისი აპოლოგეტები ამ

შედეგს ჯერ ვერ ეგუებიან და ფალსიფიკაციებით ხსნიან.

ამას ერევნის უზუცესთა საბჭოს 5 მაისის არჩევნებიც დაემატა: ეჭვქვეშ მისი შედეგებიც დადგა. საარჩევნო ბარიერი რვა პოლიტიკური ძალიდან მხოლოდ სამმა გადალახა. სომხეთის რესპუბლიკურმა პარტიამ ხმათა ორმოცდაათ პროცენტზე მეტი – 55% დააგროვა. დანარჩენმა ორმა პარტიამ, რომელთაც ბარიერის გადალახვა მოახერხეს, ხმათა 23% („აყვავებული სომხეთი“) და 8,4% („მემკვიდრეობის“ მიერ შექმნილი ოპოზიციური პოლიტიკური ბლოკი „გამარჯობა, ერევანო“) მოიპოვეს.

მმართველი პარტია ამ არჩევნებს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების არჩევნებად მიიჩნევდა, ოპოზიცია კი პოლიტიკურ და ძალზე მნიშვნელოვან არჩევნებად. თუნდაც იმიტომ, რომ უზუცესთა საბჭოს წევრები ირჩევენ ქალაქის მერს. ზოგიერთი პოლიტოლოგის აზრით, 5 მაისის ოპოზიციის გამარჯვება ხელისუფლებას სერიოზულ ალტერნატივას გაუჩენდა.

პრემიერ-მინისტრი ტიგრან სარქისიანი ოპოზიციის უკმაყოფილების მიუხედავად იხტიბარს არ იტეხს და აცხადებს, რომ შეთავაზებული პროგრამა „ხალხს ძალიან მოსწონს“; რომ მასში ისეთი მიდგომებია თავმოყრილი, რომლებიც მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ადამიანებს განათლების მიღების და სამუშაოს პოვნის ახალ შესაძლებლობებს აძლევს. **■**



სტატია მომზადებულია ჰაინრიჰ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი გამონათქვამი ჰაინრიჰ ბოლის ფონდის შეხედულებებს.

სუბსიდიით თუ მის ბაიშა 3 თვე ხიზანის დაწყება

გიორგი ჩაღუნელი

კახეთში რთველის დაწყებამდე სამი თვით ადრე, ღვინის ეროვნულ სააგენტოში ჯერ არ აქვთ საბოლოო პასუხი კითხვაზე, რა სქემით ჩატარდება „რთველი 2013“ ან გაიცემა თუ არა ყოველ ჩაბარებულ კილოგრამ ყურძენზე სუბსიდია როგორც ეს რუსული ემბარგოს შემდეგომ წლებში იყო. ამის მიუხედავად, პირობას დებენ, რომ წლევეანდელი რთველი შარშანდელზე ბევრად ორგანიზებულად ჩაივლის. თანაც სახელმწიფოს მინიმალური ჩარევით.

ამჟამად ღვინის ეროვნულ სააგენტოში ამ დარგში არსებული ვითარების შესწავლა მიმდინარეობს. უწყებაში საპროგნოზო მოსაზრების ოდენობის გარკვევასაც ელოდებიან, რომელიც ივლისის ბოლოს გახდება ცნობილი. „რთველი 2013“-ის ჩატარების სქემაც სწორედ ამის შემდეგ დამტკიცდება.

მართალია, რა ფორმით ჩატარდება რთველი ჯერ არ იციან, მაგრამ სააგენტოს უფროსს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს ჩარევა მინიმალური უნდა იყოს.

„პოლიტიკური პოპულიზმის გამო 2012 წელს ფასი 1 ლარამდე ხელოვნურად გაიზარდა. სახელმწიფომ ჩასაბარებლად განკუთვნილი ყურძენის 70% მიიღო, მაშინ როდესაც ემბარგოს შემდეგომ წინა წლებში ეს რიცხვი 50% არ აღემატებოდა“, – ამბობს ლევან დავითაშვილი.

საქართველოში რთველი პრობლემად 2006 წლის ემბარგოს შემდეგ იქცა. გასაღების ბაზრების არარსებობამ ყურძენზე მოთხოვნა მინიმუმამდე შეამცირა. მევენახის ნაწარმზე ფასი იმდენად დაეცა, რომ ხშირ შემთხვევაში, გლეხს ყურძნის მოყვანიდან სარგებელი არ რჩებოდა.



„როდესაც რუსული ბაზარი ჩაიკეტა, ორი დიდი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით. არ გვექონდა გასაღების ალტერნატიული ბაზრები. ამავე დროს, არსებობდა დიდი ოდენობით ფალსიფიცირებული ღვინო. მაშინ გავამკაცრეთ კანონმდებლობა და 2 წელიწადში ეს პრობლემები მოვაგვარეთ“, – იხსენებს კახეთის ყოფილი გუბერნატორი და სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი პეტრე ცისკარიშვილი, – „ამის შემდეგ, ქართული ღვინის ხარისხმა მოიმატა. თუ ადრე ერთი ბოთლის ფასი 1.5 დოლარს არ აღემატებოდა, რეფორმების შემდეგ ის გასამმაგდა“.

მაშინდელმა ხელისუფლებამ შეიმუშავა სქემა, რომლის მიხედვითაც ყოველ წელს რთველში მონაწილეობას ორი სახელმწიფო კომპანია – „რთველი 2008“ და „აკურა“ იღებდა. ისინი ქირობდნენ ქარხნებს და ჭარბ მოსავალს სახელმწიფოს თანხებით იბარებდნენ. ამავე დროს ბიუჯეტიდან ყოველი ჩაბარებული კილოგრამი ყურძნისთვის მევენახეებზე გაიცემოდა სუბსიდია. რქანთელის შემთხვევაში კილოგრამზე 15 თეთრი, საფერავის შემთხვევაში კი 25 - თეთრი.

ამავე სქემით ჩატარდა შარშანდელი რთველიც. განსხვავება ისაა, რომ ამჯერად სახელმწიფო სუბსიდიის სახით რქანთელზე 25, საფერავზე კი 35 თეთრს გასცემდა. სახელმწიფო კომპანიები კი ყურძენს შესაბამისად 75 და 65 თეთრად იბარებდნენ.

პეტრე ცისკარიშვილის თქმით, ეს აუცილებელი იყო: „პოპულიზმზე საუბარი ზედმეტია. ეს არის ქვეყნის სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი სფერო და ეს ნაბიჯიც სწორედ ამიტომ გადაიდგა. კერძო კომპანიების მფლობელობაში ვენახების 5-7%, რაც არაა საკმარისი იმ რაოდენობის ღვინის გასაკეთებლად, რომელზეც დღეს მოთხოვნა არსებობს. ფასის ზრდა სწორედ იმისთვის მოხდა, რომ გლეხს უკეთესი ყურძენი მოეყვანა და მათი შერევის შედეგად, ღვინის ხარისხი არ გაუარესებულიყო“.

სანამ ძველი და ახალი ხელისუფლება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე მსჯელობს, თბილისიდან 50 კილომეტრში მდებარე სოფელ თოხლიაურში მიხეილ ჯოჯიშვილი იმაზე ზრუნავს, რომ სექტემბრისთვის რაც შეიძლება დიდი მოსავალი მიიღოს. შარშან ყურძნის ფასი 1 ლარი იყო. ამიტომაც გლეხს იმედი აქვს, რომ „ქართული ოცნება“ მევენახეებს უყურადღებოდ არ დატოვებს.

„ვენახის მოვლა ძალიან რთული და შრომატევადი საქმეა. თანაც ყველაფერი გაძვირდა. შარშან ნორმალური ფასი იყო და იმედი გვაქვს, შარშანდელზე ნაკლებს არც წელს გადაგვიხდინან“, – ამბობს ჯოჯიშვილი, რომელსაც ვენახი 2 ჰექტარზე აქვს გაშენებული, – „თუ ფასი 1 ლარი მაინც იქნება, ოჯახისთვისაც დამარჩება და იმისთვისაც, რომ მომავალ წელსაც მოვიყვანო ყურძენი“.

2012 სულ წელს სახელმწიფომ სუბსიდიის სახით 14 მილიონ 657 ათასი ლარი გასცა და 56 202 ტონა ყურძენი ჩაიბარა, რაც გადასამუშავებლად განკუთვნილი ყურძენის 70%-ზე მეტია. სწორედ ამან განაპირობა ყურძენზე მაღალი ფასი.

„თუ კახეთში კარგი მოსავალი იქნება, ვფიქრობ, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე რთველის შარშანდელზე უკეთ ჩატარება ძალიან რთული იქნება. იმედი მაქვს და ძალიან მინდა, რომ ახალმა ხელისუფლებამ ეს მოახერხოს. უბრალოდ, დღემდე არანაირი ნოვაციის შესახებ არ მსმენია. ჩვენ კი გაზაფხულზე კონკრეტული გეგმა ყოველთვის გვექონდა“, – აცხადებს პეტრე ცისკარიშვილი.

როგორც ჩანს, რისკზე წასვლის სურვილი ღვინის ეროვნულ სააქციოში არ აქვთ და, ალბათ, წელსაც ნაცად ხერხს მიმართავენ.

„ვინაიდან ეს გარდამტეხი წელია, სავარაუდოდ სახელმწიფო კომპანიები რთველში წელსაც იქნებიან ჩართულნი, მაგრამ ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ყურძენს სახელმწიფო მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაიბარებს, თუ ჭარბი მოსავალი იქნება“,

– ამბობს ლევან დავითაშვილი.

საქართველოში 1 ჰექტარზე გაშენებული ვენახის მოვლა გლეხს ყოველწლიურად 1900-2200 ლარი უჯდება. თუმცა წელს კახელი გლეხი ხარჯების შემცირებაზე არ ფიქრობს.

„ხალხი ელოდება, რომ ფასი 1 ლარის ქვემოთ არ დაინეგს და ამიტომაც ვენახებს ყველანი კიდევ უფრო მონდობით ვუვლით. წინა წლებში რთველი მონესრიგებულად ტარდებოდა, ალარ იყო რიგები და ომი ყურძნის ჩაბარებაზე, ერთადერთი პრობლემა დაბალი ფასი იყო. შარშან კი ფასიც კარგი იყო და გლეხიც კმაყოფილი“, – ამბობს კაკაბეთელი ვალერი ჯიმშელაძე, რომლისთვისაც არ აქვს მნიშვნელობა სახელმწიფოს ჩარევით ჩატარდება რთველი თუ მის გარეშე, – „მთავარია გლეხს შრომა უღირდეს და ვინ გადაუხდის, მნიშვნელობა არ აქვს“.

„არ ვამბობ, რომ ყურძნის ფასი 1 ლარი იქნება, მაგრამ არც იმას ვამბობ, რომ არ იქნება. ფასი ბაზარმა უნდა დაარეგულიროს და არ შეიძლება მის წარმოქმნაში ისე უხეშად ჩარევა, როგორც ეს შარშან მოხდა, – აცხადებს ლევან დავითაშვილი. ღვინის ეროვნული სააგენტოს უფროსი ვარაუდობს, რომ წელს ბოლო რთველი იქნება, როდესაც გლეხის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო კომპანიები და სუბსიდია იქნება საჭირო.

ამის თქმის საშუალებას მას ის ფაქტი აძლევს, რომ რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურებთან მოლაპარაკებები დასრულებულია და სავარაუდოდ, ქართული ღვინო ჩრდილოელი მეზობლის დახლებზე უახლოეს მომავალში აღმოჩნდება. გარდა ამისა, იმავე ღვინის სააგენტოს მონაცემებით, ქართული ღვინის ექსპორტი შარშანდელი წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 32%-ით არის გაზრდილი. 2013 წლის პირველი 4 თვის განმავლობაში საქართველოდან საზღვარგარეთ 5 მილიონ ლიტრზე მეტი ღვინო გაიდა. 

დღეება თუ ახა C ჰეპატიტის ყინული?

სახელმწიფო სასჯელალსრულების დაწესებულებებში C ჰეპატიტით დაავადებულ პაციმართა მკურნალობას იწყებს. სფეროს ექსპერტები, აქტივისტები და პაციენტთა ჯგუფები იმედოვნებენ, რომ ეს პროცესი ციხეებს გასცდება და უფრო მასშტაბური გახდება.

ლაშა ქავთარაძე

საქართველოში, სადაც ყოველი მე-14 მოქალაქე C ჰეპატიტითაა ინფიცირებული, ხოლო ვირუსის მატარებელი, უკანასკნელი კვლევების მიხედვით, 200 000-მდე ადამიანია, ხელისუფლება ამ პრობლემისადმი დიდი ხნის განმავლობაში სრულიად გულგრილი იყო. სახელმწიფოს დღემდე არ გააჩნია სტრატეგია დაავადების სამკურნალოდ, არ ტარდება კვლევები ეპიდსიტუაციის რეალური სურათის დასადგენად. მიზეზი კი საბიუჯეტო თანხების სიმცირე და მკურნალობის სიძვირეა. თუმცა სფეროს ექსპერტების თქმით, ყინულმა ლობა დაიწყო.

სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტრომ 2013 წლის მარტში კონკურსი გამოაცხადა, რომლის მეშვეობით არჩეულ სამ ექსპერტსაც სასჯელალსრულების დაწესებულებებში C ჰეპატიტის პრევენციაზე, დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე ორიენტირებული პროგრამა უნდა შეექმნა. უკვე ცნობილია, რომ ციხეებში, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 3 000-მდე პაციენტს დიაგნოსტიკური გამოკვლევა ჩაუტარდება; 500-მდე ვირუსის მატარებელ პაციმარს კი მკურნალობის სრულ კურსს დაუფინანსებენ. თანხებს სასჯელალსრულების სამინისტრო გამოყოფს. პარალელურად, დაიწყო შეხვედრები ჯანდაცვის სამინისტროს, დარგის ექსპერტებსა და არასა-

მთავრობო სექტორს შორის ეროვნული პროგრამის შემუშავების თაობაზე.

„როდესაც იწერებოდა ციხის პროგრამა, იყო მოლოდინი, რომ ის ხელს შეუწყობდა გარკვეული გამოცდილების დაგროვებას და გახდებოდა დამატებითი სტიმული ჯანდაცვის სამინისტროსთვის ანალოგიური პროგრამის შემუშავებისთვის. ცხადია, ციხის პროგრამა სპეციფიკითა და მასშტაბით განსხვავდება ეროვნული პროგრამისგან, თუმცა ამ პროცესებმა მაინც მოახდინა გავლენა იმაზე, რომ პრობლემით ჯანდაცვის სამინისტროც დაინტერესდა,“- ამბობს „ლიბერალთან“ საუბრისას „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ პროგრამების მენეჯერი პაატა საბელაშვილი.

C ჰეპატიტით ინფიცირებულთა თემის საკოორდინაციო საბჭოს წევრი კოტე რუხაძე კი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს ნება პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით უკვე იკვეთება. თემის წევრებისათვის მნიშვნელოვანია, როგორ და რა კრიტერიუმებით დაიწყება პროგრამის შემუშავება, თუმცა უფრო მნიშვნელოვანია რომ პროცესი დაიწყო.

„ყინული დაიძრა. თემა აბსოლუტურად დაძინებული იყო. წინა ხელისუფლების დროს სირაქლემის პოზაში იყვნენ. ჯანდაცვის მინისტრთან საკმარისად მიმე და საქმიანი შეხვედრა გვექონდა. აბსოლუტურად ყველაფერი იქნება,

როგორც არასამთავრობო სექტორისა და ექსპერტების, ასევე მინისტრის მხრიდან,“- ამბობს კოტე რუხაძე და იმედს გამოთქვამს, რომ ციხის პროგრამის შემდეგ ქმედით ნაბიჯებს ჯანდაცვის სამინისტროც გადადგამს.

დღესდღეობით C ჰეპატიტის მკურნალობა საქართველოში „ინტერფერონისა“ და „რიბავირინის“ კომბინირებული კურსით ხდება. მკურნალობის სრული კურსის საფასური ვირუსის I და IV გენოტიპებზე 24 000 ლარამდეა, II და III გენოტიპის შემთხვევაში კი 12 000 ლარი. პირველ შემთხვევაში განკურნების ალბათობა 30-50%-ია, ხოლო მეორე და მესამე გენოტიპის შემთხვევაში – 80%.

„გვაქვს შემდეგი სიტუაცია: მკურნალობა ძალიან ძვირია, არ არის 100%-იანი შედეგი. გარდა ამისა, აღნიშნული პრეპარატები საკმაოდ ძვირია და აქვს ბევრი გვერდითი ეფექტი. ადამიანები ხშირად წყვეტენ მკურნალობას, ვერ ახერხებენ მის ბოლომდე მიყვანას. აქედან გამომდინარე საქართველოში ინფიცირებულების 1% თუ აქვს მკურნალობის რეალური შესაძლებლობა, 99% კი ვერ მკურნალობს,“- აღნიშნავს კოტე რუხაძე.

პრეპარატებს, რომელიც საქართველოში C ჰეპატიტის სამკურნალოდ გამოიყენება, მხოლოდ ორი კომპანია “Merck” და “Roche” აწარმოებს. მონოპო-

ლიური მდგომარეობა ფარმაცომპანიებს აძლევს საშუალებას, რომ მედიკამენტების მაღალი ფასები შეინარჩუნონ. პაატა საბელაშვილის განცხადებით, ორ ფარმაცომპანიას, რომლებიც აწარმოებენ პეგილირებულ ინტერფერონს ყველაზე გადაჭარბებული გათვლებით, მის შემუშავებაში 1 მილიარდი დოლარი აქვთ დახარჯული, უკვე გაყიდული აქვთ 35 მილიარდის მედიკამენტი მოგების წარმოუდგენლად მაღალი მარჟით. „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ პროგრამების მენეჯერის თქმით, სახელმწიფოს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პრეპარატების შესყიდვაში და ამისათვის მოლაპარაკებაში ჩაერთოს ფარმაცომპანიასთან.

„მეტიც, სახელმწიფოს შეუძლია მკაცრი რეგულირება გაუკეთოს ამ საკითხს, ვინაიდან საქმე ადამიანების სიცოცხლეს ეხება და ნაკლებად მნიშვნელოვანია ფარმაცომპანიის მიერ მიღებული მოგება,“ – აღნიშნავს საბელაშვილი, – „შედარებისათვის იგივე კომპანიები ეგვიპტეში ამ მედიკამენტს 8-10-ჯერ უფრო იაფად ყიდიან. მოგეხსენებათ, ეგვიპტე ჩვენზე მდიდარ ქვეყნებს არ მიეკუთვნება, თუმცა სახელმწიფოს კეთილმა ნებამ ძალიან დიდი ცვლილებები გამოიწვია ამ პრობლემის მოგვარებაში.“

ეგვიპტის შემთხვევა სამაგალითოდ მიაჩნიათ ჯანდაცვის გაუმჯობესების ცენტრშიც. ცენტრმა „ფონდ ლია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით, ახლახან ჩაატარა კვლევა C ჰეპატიტით დაავადებულ პაციენტებში ბიომიმსგავსებული მედიკამენტების მიმართ ინფორმირებულობის, მზაობისა და დამოკიდებულების განსასაზღვრად.

მკვლევრის ელენე აზმაიფარაშვილის თქმით, ეგვიპტე ყველაზე ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა შეუძლია განვითარებადმა ქვეყანამ გააკეთოს აღნიშნული პრობლემის დასაძლევად. ეგვიპტემ, სადაც მოსახლეობის თითქმის 22% C ჰეპატიტით დაავადდა, 2007 წელს სახელმწიფო პროგრამა შეიმუშავა, რომლის



■ „იგივე კომპანიები ეგვიპტეში ამ მედიკამენტს 8-10-ჯერ უფრო იაფად ყიდიან. მოგეხსენებათ, ეგვიპტე ჩვენზე მდიდარ ქვეყნებს არ მიეკუთვნება, თუმცა სახელმწიფოს კეთილმა ნებამ ძალიან დიდი ცვლილებები გამოიწვია ამ პრობლემის მოგვარებაში.“

პრიორიტეტიც მკურნალობის ფასის შემცირება გახლდათ. მიზანს კი ადგილობრივი წარმოების ბიომიმსგავსებული მედიკამენტის შექმნით მიაღწიეს. Mina pharm-ის მიერ ბიომიმსგავსებული მედიკამენტის შექმნამ C ჰეპატიტით მკურნალობის საფასური 10-ჯერ გააიაფა.

ეგვიპტურმა მედიკამენტმა გაამძაფრა კონკურენცია ბაზარზე და დიდი ფარმაცევტული კომპანიები იძულებული გახდა დაენიათ ფასი ძვირადღირებულ ნაწილებზე.

ეგვიპტური კომპანიის წარმომადგენლები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებსაც შეხვდნენ და პრეპარატის ქართულ ბაზარზე შემოტანის სურვილი გამოთქვეს.

თუმცა საქართველოში რეგისტრაციის პირველი განაცხადი შეჩერდა.

„მედიკამენტის მიღება-არმიღებაზე არ ყოფილა ლაპარაკი, ყველაფერს აქვს თავისი წესი და კანონი. ამ მედიკამენტს არ აქვს გავლილი მტკიცების ის ხარისხები, რომელიც მისი გამოყენების საშუალებას მოგვცემდა. მეტიც, ეგვიპტური წამალი არ არის ერთადერთი ინსტრუმენტი ფასების შესამცირებლად, არსებობს სხვა ინოვაციური მექანიზმები, რომლებზეც ჩვენ დიდი ხანია ვმუშაობთ და იმედია შედეგებს მალე ვნახავთ,“ – განაცხადა ამ თემაზე საუბრისას ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ.

კოტე რუხაძე განმარტავს, რომ ეგვიპტური მედიკამენტის ეფექტურობა მწარმოებელი ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, მხოლოდ მე-4 გენოტიპზეა დადასტურებული. აღნიშნული გენოტიპი საქართველოში თითქმის არ გვხვდება. Mina pharm-ის წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ მათ ტექნიკური ხარვეზები ჰქონდათ, ამიტომაც ისინი მზად არიან საქართველოში გავრცელებულ გენოტიპებზეც გამოსცადონ პრეპარატი, რის შემდეგაც უკვე შესაძლებელი გახდება ქართულ რეალობაში მის ეფექტურობა-არაეფექტურობაზე საუბარი.

„არანაირი ხელოვნური ბარიერი არ არსებობდა, ამ კომპანიამ საქართველოში შემოსვლა სუფთა ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მოახერხა,“ – აღნიშნავს რუხაძე და დასძენს, – „მკურნალობა, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი პრობლემაა, მაგრამ კომპლექსური მიდგომა თუ არ დაინერგა, შედეგი არც ისე კარგი იქნება – უნდა გაძლიერდეს სხვადასხვა დანესებულებების კონტროლი, რისი დაპირებაც უკვე მოგვცა ჯანდაცვის მინისტრმა; უნდა ჩატარდეს პრევენციული სამუშაო ახალგაზრდებში; უნდა გაფართოვდეს ზიანის შემცირების პროგრამა ნარკოდამოკიდებულებსა და სექსუალურ ურთიერთობებში. წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგები არადაამაკმაყოფილებელი იქნება.“



ფოტო: ლევან ხარაძე/ნიპი

ახალბიძა ჩახახიძე სივხსაუ

ინტერვიუ სამხატვრო აკადემიის ყოფილ რექტორთან,
კურატორ და გალერისტ
ირინა პოპიაშვილთან

რატომ დათანხმდით კულტურის მინისტრის, ნიკა რურუას შემოთავაზებას? რეალობა, რომელიც დაგხვდათ, განსხვავდებოდა იმისგან, რასაც მოელოდით?

თბილისში 2012 წლის მარტში ჩამოვედი და ჯერ კიდევ აკადემიაში მისვლამდე შემთხვევით გავიგე, რომ სტუდენტების შეკრება იყო „ურბან რეაქტორის“ მაშინდელ სივრცეში. ამ შეხვედრაზე დასწრება მაინტერესებდა და მივედი, მაშინ მხოლოდ ორი დღის ჩამოსული ვიყავი ნიუ-იორკიდან. იქ ერთ ერთმა გოგონამ მკითხა, რატომ მაინცდამაინც თქვენო?

ვიცნობ ქართულ სახელოვნებო სივრცეს, ქართველ მხატვრებს და ასევე ძალიან კარგად ვიცნობ ამერიკულ და დასავლეთის ევროპის არტ სამყაროსაც. ეს ორი რამ პარალელურად არსებობს, მაგრამ მათ გადაკვეთის წერტილი არ აქვთ. განსხვავებულია ყველაფერი – კრიტიკიუმები, მასშტაბი, ვიზუალი. მსურს ისინი ერთმანეთს დაეუახლოვო, რომ რაღაც შეხების წერტილი გაჩნდეს და ამ ორ სამყაროს შორის ფასეულობების ადეკვატური აღქმა იყოს. ჩემი აზრით, ნიკა რურუას სურდა, რომ აქაური სახელოვნებო სივრცე გაეთანამედროვეებინა არა მხოლოდ ქართული განზომილებებით, არამედ მოენეცა ადამიანი, ვინც დასავლურ ფასეულობებს და არტ სამყაროს კარგად იცნობდა. სანამ თბილისში ჩამოვიდოდი, ნიუ-იორკიდანვე დავიწყე მუშაობა თბილისის გოეთეს ინსტიტუტთან ერთად 80-90-იანი წლების დასაწყისის ქართული ხელოვნების გამოფენაზე. ამ დროს უფრო ხშირად მიწევდა თბილისში ჩამოსვლა. მასალების კვლევისა და მხატვრებთან საუბრის შემდეგ მივხვდი, რომ რამდენი გამოფენაც არ უნდა გამეკეთებინა თბილისში, იმ შედეგს ვერ მომცემდა, რაც სახელოვნებო განათლების სისტემაში მონაწილეობამ მოცა. ამან და ნაწილობრივ ჩემმა ოჯახურმა მდგომარეობამ – დედაჩემის შერყეულმა ჯანმრთელობამ – მიმაღებინა ეს გადაწყვეტილება.

რამდენადაა თბილისის სამხატვრო აკადემია თანამედროვე არტ სასწავლებელი?

ამ შეკითხვაზე ერთ-ერთი აკადემიის სტუდენტის მიერ სოციალურ ქსელში დადებული ფოტოთი ვუპასუხებდი – ფოტოს სათაურად

„თანა მედროვე ხელოვნება“ ჰქვია და აკადემიის ქანდაკების სახელოსნოშია გადაღებული.

თქვენ თქვით, რომ აკადემიის თანამშრომლებს არ ჰქონდათ ელექტრონული ფოსტა. როგორ ახერხებდით მათთან კომუნიკაციას? შესაძლებლად მიგაჩნიათ, რომ დღეს შეიძლება არტისტმა, არტპედაგოგმა სტუდენტებს კარგი განათლება მისცეს, ისე, რომ თვითონ არ ჰქონდეს ურთიერთობა ინტერნეტთან (ამ შემთხვევაში ინტერნეტი, ცხადია, მხოლოდ საშუალებაა და არა მიზანი)?

დავინწყით იქედან, რომ მე ვიყავი პირველი რექტორი, რომელიც კომპიუტერი სარგებლობდა. თანამშრომლების უმრავლესობა უბრალოდ არ სარგებლობდა ელექტრონული ფოსტით. აკადემიაში ყოფნისას ჩემი ინიციატივით ყველა თანამშრომელს გავუხსენით აკადემიის ელექტრონული ფოსტა. ის, რომ ისინი ამით არ სარგებლობდნენ, ეს სხვა საკითხია.

მინდა ვკითხო მათ, ვინც კომუნიკაციის პრობლემაზე საუბრობს, – რატომ არ მომმართეს იმეილით? როდესაც ვერ ახერხებ ვინმესთან პირადად შეხვედრას ამა თუ იმ მიზეზის გამო, შეიძლება ამ ადამიანს წერილობით შეატყობინო შენი სათქმელი. ასევე ჩემი ტელეფონის ნომერიც ხელმისაწვდომი იყო ყოველი მათგანისთვის და თავისუფლად შეეძლოთ ტელეფონით დამკავშირებოდნენ. მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი რექტორობის დროს იყო გამოყოფილი მიღების დღეებიც: თანამშრომლებისთვის – ხუთშაბათი, ხოლო სტუდენტებისთვის – პარასკევი.

რა მოხდა თქვენ წინააღმდეგ, როგორ ფიქრობთ, აკადემიის საბჭო თქვენს იდეებს დაუპირისპირდა, თუ პიროვნულად იყავით მიუღებელი მათთვის?

პიროვნულად არავინ დამპირისპირებია, აკადემიურ საბჭოს ვხვდებოდი სულ ცოტა თვეში ორჯერ და მათ ჩემდამი საჩივარი ან უკმაყოფილება არასდროს გამოუთქვამთ.

როგორც შემდეგ ტელევიზიით გავიგე მე „უცხო სხეული“ და „არა აკადემიელი“ ვიყავი და ამიტომ აკადემიის „მაჯისცემა“ არ მესმოდა. დასკვნების გამოტანა თქვენთვის მომიწევდა.



რამდენადაა დამოუკიდებელი აკადემიის საბჭო თავის გადაწყვეტილებებში? არის თუ არა პოლიტიკური ზენოლა? ფაქტია, რომ თქვენ 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გადაგიჩიეს.

მე არ ვთვლი რომ აკადემიური საბჭოზე იყო ან არის პოლიტიკური ზენოლა. აკადემია იმდენად ჩაკეტილი სივრცეა, რომ ისინი არასდროს გარედან მოსულ ადამიანს ხმას არ მისცემენ და მათი განცხადებით, როდესაც მათზე „ზენოლა“ სცადა სამინისტრომ, წარმატებას ვერ მიაღწია, საბჭომ პირველ არჩევნებში, 2012 წლის თებერვალში მე ხმა არ მომცა.

მოგვიყევით სასამართლო პროცესის შესახებ. რას მოითხოვთ? რატომ? როდის გამოიტანს სასამართლო განაჩენს?

მოვითხოვ აკადემიური საბჭოს 13 ნომბრის ოქმის ბათილად ცნობას და ჩემს რექტორად აღდგენას. საბჭოს სხდომა ჩატარდა პროცედურების დარღვევით, გადაწყვეტილება უსაფუძვლოა და ცოტა არ იყოს აბსურდულიც.

სასამართლო ჯერ არ დასრულებულა და მონმეების დაკითხვა გრძელდება. ამიტომ ამ ეტაპზე კომენტარებისგან თავს შევიკავებ.

თუკი რექტორად აღადგენენ, რის გაკეთებას აპირებთ? რამდენად გაქვთ წარმატების იმედი მაშინ, როცა თქვენ არ ხართ უფლებამოსილი დაითხოვოთ აკადემიური საბჭო და ალბათ, არც პედაგოგების უმეტესობა?

ამაზე მოდით სასამართლოს დასრულების შემდგომ ვისაუბროთ. ამ ეტაპზე ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო პროცესი სამართლიანად წარიმართოს, ამის დიდი იმედიც მაქვს.

განათლების ხარისხი რამდენად აისახება ქართულ არტზე? სწორი პროცესების პირობებში რამდენ ხანში შეიძლება დაეტყოს ქართულ სახელოვნებო სივრცეს გაუმჯობესება?

დღევანდელ რეალობაში საქართველოში თითზე ჩამოსათვლელია საერთაშორისო კარიერის მქონე არტისტი. წარმატებას ისინი ძირითადად ქვეყნის გარეთ აღწევენ. თუ ჩვენ ნიჭიერ ახალგაზრდობას გადავცემთ როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე ცოდნას, და ვასწავლით აუცილებელ უნარ-ჩვევებს, დარწმუნებული ვარ, ისინი შეძლებენ თავიანთი თავის უკეთესად წარმოჩენას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე.

ამისთვის საჭიროა, რომ სტუდენტებს ასწავლიდნენ თავიანთ კარიერაში რეალიზებული ხელოვნები და არა აკადემიურ სივრცეში ჩაკეტილი, თანამედროვეობას მონყვეტილი ადამიანები, ჩემი აზრით, მაშინ გაჩნდება პერსპექტივა რომ ეს სივრცე გაუმჯობესდეს.

რამდენადაა შესაძლებელი დღეს საქართველოსნაირ პატარა და ღარივ ქვეყანაში არტ-ბიზნესის განვითარება? რამდენად აქვთ ჩვენს მხატვრებს იმის შესაძლებლობა, რომ გავიდნენ მსოფლიო ბაზარზე? რა უნდა გაკეთდეს აქ ამისთვის?

არტ ბიზნესის განვითარებისთვის, გარდა იმისა, რომ ქვეყანაში უნდა არსებობდეს შესაბამისი ეკონომიკა და კაპიტალი, აუცილებელია შეიქმნას განათლებული მყიდველის ბაზა. ამ განათლებაში მე ფლორენციასა და რომში ტურებს არ ვგულისხმობ, არამედ თანამედროვე გლობალური სამუზეუმო და საბაზრო სისტემის გაცნობას თუნდაც იმ დონეზე, რომ იცოდეს, როგორ მუშაობს ეს სისტემა დასავლეთში, როგორ მუშაობენ ცნობილი მუზეუმები, გალერეები, არტბაზრობები და აუქციონის სახლები. არტბიზნესს ქმნიან


■ საჭიროა, რომ სტუდენტებს ასწავლიდნენ თავიანთ კარიერაში რეალიზებული ხელოვნები და არა აკადემიურ სივრცეში ჩაკეტილი, თანამედროვეობას მონყვეტილი ადამიანები, ჩემი აზრით, მაშინ გაჩნდება პერსპექტივა რომ ეს სივრცე გაუმჯობესდეს.

არტისტები, გალერისტები, კურატორები, მუზეუმები ან სახელოვნებო ინსტიტუციები, არტკონსულტანტები, არტკრიტიკოსები და კოლექციონერები. დღევანდელ საქართველოში კურატორების დეფიციტია, კურატორი უქმნის კონტექსტს ამა თუ იმ არტისტს ან არტისტების ჯგუფს, რომ აღარაფერი ვთქვა კრიტიკოსებზე და კოლექციონერებზე.

საერთაშორისო არ ბაზარზე რეგულარულად ჩნდება მოდური ქვეყნები. რამდენიმე წლით 90-იანების დასაწყისში იყო რუსეთი, 90-იანების ბოლოს – ჩინეთი, მერე პოლონეთი, რამდენიმე წლის წინ რუმინეთი და ა. შ.

ამ დროს ხდება-ხოლმე რამდენიმე არტისტის მიერ მოდური "ქვეყნის ნიშის" დაკავება: მონიკა სოსნოვსკა, პაულინა ოლოვსკა, ვილჰელმ სასნალი პოლონეთიდან, ვიქტორ მანი და ადრიან გენი რუმინეთიდან და ა. შ. ჩვენ ცოტა განსხვავებულ სიტუაციაში ვართ, რადგან საქართველოდან წასული ანდრო ვეკუა და თეა ჯორჯაძე საერთაშორისო არტბაზრის

ვარსკვლავები არიან და ნაწილობრივ ეს ნიშა დაკავებულია მათ მიერ და თუნდაც კოკა რამიშვილის მიერ. მათი კარიერა სხვანაირად განვითარდა და სულ სხვა კონტექსტში მოიზრება, ისინი ქართველები კი არიან, მაგრამ არტისტებად საქართველოში არ ჩამოყალიბებულან.

ჩემი აზრით, დახმარებას და „აღმოჩენას“ გარედან არ უნდა ველოდოთ, ერთჯერად სოტბისის ან კრისტის აუქციონზე გამოფენა-გაყიდვას არანაირი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება, სანამ ჩვენ თვითონ არ მივხედავთ ამ საქმეს – გაკეთდეს მეტი გამოფენა, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი არტისტებისა, რათა შეიქმნას ვიზუალური მრავალფეროვნება და ახალგაზრდა არტისტებმა და სტუდენტებმა მრავალი ნამუშევარი ნახონ რეალობაში და არა მხოლოდ ვირტუალურად. 

ესაუბრა ნინო ბეჩიშვილი

Radio Commersant

marketing@commersant.ge
+995 32 2505 955



ბიზნესის პერსონალური რადიო

Commersant.ge

დაბიჩინთში დახახბუდი ბდახეზი

სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგების პირველი ეტაპი დასრულდა. გლეხების ნაწილი მთავრობის დახმარებით კმაყოფილია, ნაწილი – უკმაყოფილო, ხოლო ნაწილმა კი ბარათი საერთოდ ვერ მიიღო.

ქეთევან ღვედაშვილი

გლეხებს პირველ ეტაპზე კომბინირებული ბარათები დაურიგეს, რომლითაც მიწის დასამუშავებლად ტექნიკის დაქირავება შეიძლებოდა. მეორე ეტაპზე გაცემული ნომინალური ბარათებით კი სპეციალური მაღაზიიდან სხვადასხვა შხამქიმიკატებისა და ინვენტარის გამოტანა შესაძლებელი. თუმცა პრობლემები ბარათების დარიგების დასაწყისშივე გამოიკვეთა.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მამნაარის მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყარო მევენახეობა და მებოსტნეობაა. ამიტომ ამ ბარათებს მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მათი ნაწილი ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ან საერთოდ ვერ ახერხებს მიწების დამუშავებას, ან ნასესხები ფულით ამუშავებს მას.

ამ სოფელში სასოფლო-სამეურნეო ბარათის გარეშე 451 პირი დარჩა. მოსახლეობის ნაწილი აცხადებს, რომ მუნიციპალიტეტიდან გაგზავნილ სიაში იყო, მაგრამ სამინისტროდან ბარათი ვერ მიიღო, ნაწილი პირველად სიაში იყო და შესწორებულში ველარ მოხვდა. ბარათის გარეშე დარჩენილი მოსახლეობა ბარათის მიღებას დამატებითი სიის მეშვეობით ელოდება.

მამნაარის ზოგიერთი მკვიდრი პასუხისმგებლობას ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს აკისრებს. ისინი აცხადებენ, რომ პირველადი სიების შექმნისას ჯერ კიდევ ნა-

ციონალები იყვნენ მუნიციპალიტეტის სათავეში და სიები მათ დაკარგეს.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობა ბარათების დარიგებასთან დაკავშირებულ ხარვეზებზე პასუხისმგებლობას სოფლის მეურნეობის სამინისტროს აკისრებს, სამინისტრო კი – მუნიციპალიტეტს.

მამნაარის მკვიდრი მზია თათარაშვილი 25 მეასედი მიწის მფლობელია. თუმცა მეორე თვეა, ვაუჩერი არ მიუღია. ამ დროის განმავლობაში სოფლის საკრებულოში ორჯერ იყო მისული ხელახლა დასარეგისტრირებლად: „ორი კვირაა გასული, რაც მეორედ მიემართე და ჯერაც არ მიმიღია ბარათი. სოფლის საკრებულოში მეუბნებიან, რომ ჩემი სახელი და გვარი სიიდან თავისით ვარდება“, – აღნიშნა მზია თათარაშვილმა „ლიბერალთან“ საუბრისას.

იგი სახნავი ბარათით მიწის დამუშავებას, ნომინალური ბარათით კი მოსარწყავი შლანგის ყიდვას აპირებდა: „ბარათის გარეშე დარჩენამ დამაზარალა, სახნავს ველარ გამოვიყენებ, რადგან მინა ჩემი ძალებით უკვე დავამუშავე. თუ მეორე ბარათი მოვიდა, შლანგს მაინც ვიყიდი, ბევრი რამ მაქვს მოსარწყავი.“

ამავე სოფლის მკვიდრი ალექსანდრე ორჯონიკიშვილი 60 მეასედის მფლობელია. თუმცა სახნავი ვაუჩერი საერთოდ არ აუღია. მხოლოდ 20 მეასედის სასუქი აიღო და და-



ფოტო: ქაიხაია ლეიბაშვილი

ნარჩენზე სამჯერ მიმართა საკრებულოს:

„საკრებულოში გვეუბნებიან, რომ სიები სამინისტროდან მოდის და ისინი არაფერში არ არიან დამნაშავეები. ჩვენ გვაჩვენებენ, რომ დამატებით სიაში ვართ, მაგრამ მერე გვეუბნებიან, რომ იქედან მოსულ სიაში არ ვიყავით. დამატებით სიებში ჩავგწერეს, გვითხრეს – ბარათები იბეჭდებაო. თუმცა 2-3 კვირის წინ ჩავგწერეთ და ბოლოს არაფერი მიგვიღია.“

მართალია, სახნავ ვაუჩერს ვერ გამოიყენებენ, მაგრამ მეორე ვაუჩერის მიღებას ელოდებიან, რადგან სასუქებისა და წამლების ყიდვა ჯერ კიდევ არაა დაგვიანებული: „ჩემი ოჯახის ძირითადი შემოსავლის წყარო ეს ნაკვეთებია. პენსიონერები არ ვართ, ხელფასი ჩვენ არ გვაქვს და მაგ ნაკვეთებს შევყურებთ.“

ნინო ბერიაშვილიც მაშნაარის მკვიდრია. მის ოჯახს 48 მეასედი მიწის ნაკვეთი აქვს.

ბარათი კი არც მათ მიუღიათ. მისი განცხადებით, პირველადი სიების შექმნისას საკუთარი თავი სოფლის საკრებულოში გადაამონმა და სიაში იყო. თუმცა სამინისტროდან მოვიდა თუ არა ბარათი, ეს არ იცის: „25 აპრილს ატვირთულ სიებში ვიყავი, მაგრამ შემდეგ კორექტირებულ სიაში – ვეღარ მოვხვდი. სამინისტროს ცხელ ხაზზე გვითხრეს, რომ აქვეა პრობლემა, რადგან იქამდე სიები არ მისულა.“

ნინო ბერიაშვილი სიებთან და ბარათებთან დაკავშირებული პრობლემის ერთ-ერთ მიზეზად ნაციონალებს ასახელებს და ამბობს, რომ პირველადი სიების შედგენისას სოფლის სათავეში ჯერ ისევ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ, მათი შეცვლის შემდეგ კი არავინ იცის, სად წაიღეს ეს სიები.

სოფელი მაშნაარი საქობოს საკრებულოს დაქვემდებარებაშია. ამიტომ „ლიბერალი“ საქობოს საკრებულოს რწმუნებულ კობა ბაკაშ-

ვილს დაუკავშირდა. მისი განცხადებით, ბარათის გარეშე დარჩენილი პირების სახელები და გვარები სილნალში უკვე გადაამოწმა და ისინი ნამდვილად არიან სიაში: „ბარათი არც მე მიმიღია. სოფლის მეურნეობის სამმართველოში გვითხრეს, რომ პროგრამა არეულია, გასწორდება და ვაუჩერებოც მოვა. ყველა სოფელში ასეთი მდგომარეობაა.“

სილნალის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ბერდო ასანიშვილი, ერთ-ერთ მთავარ პრობლემად მოსახლეობის დაურეგისტრირებლობას ასახელებს.

ბერდო ასანიშვილის განცხადებით, პროცესები ქაოსურად წარიმართა, რადგან პირები ყოველგვარი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გარეშე რეგისტრირდებოდნენ. ასანიშვილი მიიჩნევს, რომ ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად არანაირი ბერკეტი არ არსებობს და ეს ხელისუფლებამაც იცოდა. მაგრამ აქ ნდობის ფაქტორი იყო: „ეს სამინისტრომაც იცოდა, მაგრამ ეს ხელისუფლების კეთილი ნება იყო. თვითონ პრემიერიც ნაწყენი იყო, მე ერისთვის სიკეთის გაკეთება მინდოდა და ზოგმა ბოროტად განმოიყენა.“


გამგებლის მოადგილის ინფორმაციით, ახალი წლის წინა დღეებში სამინისტრომ სიების ელექტრონული ვერსია ჩამოიტანა, მათი კორექტირება მოხდა და სხვა პირებიც დაემატა. იუსტიციის სამინისტროში მისულ სიაში კიდევ იყო უზუსტობები, ზოგი პატიმარი იყო, ზოგი ქვეყნიდან იყო გასული და ამის კორექტირება ხდებოდა. ეს პროცესი თითქმის თებერვლის შუა რიცხვებამდე გაგრძელდა.

გამგებლის მოადგილის ინფორმაციით, სილნალის მუნიციპალიტეტში თავდაპირველად ბარათის მიმღები 9 000-მდე ბენეფიციარი იყო, მაგრამ სიების კორექტირების შემდეგ მათი რაოდენობა 13 000-მდე გაიზარდა. აქედან 7 000 ათასზე მეტი ბარათი ეტაპობრივად გაიცა, 1 400 პირი კი დამატებით სიაშია შეყვანილი: „რწმუნებული გვანვდიდა ელექტრონულ სიებს და მათ ვგზავნიდით სამინისტროში, მაგრამ მოხდა ისე, რომ დიდი ნაწილისთვის ბარათები არ ჩამოსულა. პრობლემური სიიდან კიდევ 296-ს ველოდებით. შეგვატყობინეს, რომ ის სტამბაში უკვე იბეჭდება.“

ბერდო ასანიშვილის ინფორმაციით, კიდევ ერთ დამატებით სიას 2-3 დღეში გაგზავნიან, ერთი კვირის ვადაში ისინი სტამბას გაეგზავნება დასაბეჭდად და რაიონში მთლიანად აღმოიფხვრება ეს პრობლემა.

სასოფლო-სამეურნეო ბარათებთან დაკავშირებული პრობლემების გასაანალიზებლად „ლიბერალი“ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დაუკავშირდა. სააგენტოს წარმომადგენელთა განცხადებით, მინის 80%-ის დაურეგისტრირებლობის გამო მინის მესაკუთრეთა აღწერა კარდაკარის პრინციპით ჩატარდა, შეიქმნა საინფორმაციო ბაზა და ადგილებზე მონაცემთა საჯარო რეესტრთან შედარება: „გამოვლენილი უზუსტობების გამო, იანვარ-თებერვალში სოფლის რწმუნებულებს მიეცათ შესაძლებლობა გამოეწონებინათ აღწერის დროს არსებული ხარვეზები და შეედეგინათ დამატებითი სიები. სასოფლო-სამეურნეო ბარათს ვერ მიიღებდა მხოლოდ ის ბენეფიციარი, რომელიც რწმუნებულების მიერ მონოდებულ სიებში (ძირითადად და დამატებითი) არ იყო,“- განაცხადეს სააგენტოში.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, საგაზაფხულო პროგრამის დასრულების შემდეგ პროექტის მიმდინარეობისას დაფიქსირებული ხარვეზების დეტალური ანალიზი განხორციელდება. დაგეგმილია ფართომასშტაბიანი მონიტორინგი, რის შემდეგაც კონკრეტული გეგმა გაინერგება: „უკვე შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც მინების აღრიცხვიანობაზე და რეგისტრაციაზე მუშაობს. ამ პროცესის დასრულების შემდეგ გვექნება კონკრეტული მინათმესაკუთრეთა ბაზა, რაც დაგვეხმარება არსებული ხარვეზების აღმოფხვრაში.“

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სილნალის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებში. თუმცა აქაც არიან პირები, რომლებმაც ბარათი ვერ მიიღეს. სოფელ ჯუგაანში ბარათის გარეშე 8 კაცი დარჩა, სოფელ ძვ. ანაგაში – 5, ხოლო ნუკრიანში – 40. ქვემო მაჩხაანში პირველად სიაში 500 ადამიანი ვერ მოხვდა, მაგრამ შემდგომში ყველა დაკმაყოფილდა ბარათით. სოფელ ბოდბისხევში შედარებით კარგი მდგომარეობაა. 

■ ბერდო ასანიშვილის განცხადებით, პროცესები ქაოსურად წარიმართა, რადგან პირები ყოველგვარი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გარეშე რეგისტრირდებოდნენ. ასანიშვილი მიიჩნევს, რომ ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად არანაირი ბერკეტი არ არსებობს და ეს ხელისუფლებამაც იცოდა. მაგრამ აქ ნდობის ფაქტორი იყო: „ეს სამინისტრომაც იცოდა, მაგრამ ეს ხელისუფლების კეთილი ნება იყო. თვითონ პრემიერიც ნაწყენი იყო, მე ერისთვის სიკეთის გაკეთება მინდოდა და ზოგმა ბოროტად განმოიყენა.“

იოტა iOS-ისთვის



ლიბერალი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იპითხე ყველაგან!

იპითხე კომფორტულად!

www.lit.ge

იოტა iOS-ისთვის ხაზგაღებულია გადღვეთ მარტივად იპითხეთ lit.ge-ს ნიშნები და პერიოდულად თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

აპლიკაციის გადმოტანებად, თქვენი მონეტარიზაციისთვის iTunes-ზე მოძიებით „IOTA READER“



ფაჩმაჩი ჯანსუთიდან

ანი ჭანკოტაძე



ფოტო: გიორგი შიშკაძე

მიკირტიჩ მოვსეიანს ახალციხეში ყველა იცნობს. შეიძლება ითქვას, რომ მინათმოქმედების დარგში ის ადგილობრივი ავტორიტეტია. დანარჩენი გლეხები რჩევებისთვის ხშირად მიმართავენ და საკუთარი მეურნეობების გრაფიკასაც მიკირტიჩის ხენა-თესვის გრაფიკის მიხედვით აგებენ.

მიკირტიჩის ასეთი „პოპულარობა“ იმ მრავალნაირად ჭეშმარიტებას ემყარება, რომ მას ჩვეულებრივზე სამჯერ მეტი მოსავლის მოყვანა შეუძლია. კარტოფილი, ხახვი, იონჯა თუ მარცვლეული კულტურები მას ერთნაირი წარმატებით მოჰყავს.

მიკირტიჩი პროფესიით აგრონომია. ახალციხეში სომხური სკოლის დამთავრების შემდეგ ენობრივი ბარიერის გამო განათლების მისაღებად სომხეთში გაემგზავრა და პროფესიას იქ დაეუფლა. მინათმოქმედება კი 1998 წლიდან დაიწყო, როდესაც სახელმწიფო პროგრამით მიწების დანაწილება მიმდინარეობდა და 15/100 ჰექტარის ფართობის მიწა მასაც შეხვდა.

მიკირტიჩის მიწა ამ დროს სასოფლო-სა-

მეურნეო სამუშაოებისთვის პრაქტიკულად უვარგისად ითვლებოდა. ის მთებში მდებარეობდა და ვერ ირწყევებოდა. საბჭოთა საირიგაციო სისტემა ამ დროს უკვე მოშლილი იყო. მიკირტიჩის მოსავლის გადასარჩენად მიწის მორწყვა ხელით უხდებოდა, რაც განსაკუთრებით შრომატევადი იყო და ძვირი ჯდებოდა. მოვსეიანებით საირიგაციო სისტემა ისევ გაიყვანეს და წყლის პრობლემა საბოლოოდ მოგვარდა.

ამჟამად მიკირტიჩ მოვსეიანს ძირითად კულტურებად ხახვი და კარტოფილი მოჰყავს. მიწის ნაკვეთები ნაწილ-ნაწილ შეიძინა და გააერთიანა, ნაწილს კი დღემდე იჯარით იღებს.

კარტოფილის ნათესებს მიკირტიჩის მეურნეობაში საშუალოდ 2 ჰექტარი უჭირავს. „როცა კარტოფილის მოყვანა დავიწყე, კარტოფილის საშუალო მოსავლიანობა ჩვენს მიწებზე ჰექტარზე საშუალოდ 15-17 ტონა იყო, საუკეთესო შემთხვევაში – 20 ტონა. ახლა კი ჰექტარზე, ყველაზე ცოტა, 40 ტონა მომყვას.“ – ამბობს მიკირტიჩი. ანალოგიური შედეგები აქვს ხახვის მოყვანაშიც – ჰოლანდიური ჰიბრიდული

ხახვის დათესვით ჰექტარზე საშუალოდ 70-80 ტონა ხახვს იღებს, მაშინ როცა რეგიონში საშუალოდ 25 ტონა ხახვს იღებენ.

მოსავლიანობის ასეთი ზრდა ირიგაციის გარდა სხვა ფაქტორებსაც უკავშირდება. კერძოდ, თესლის ხარისხს, ასევე, მექანიზაციის გაუმჯობესებას, შხამქიმიკატებისა და სასუქების მრავალფეროვნებასა და რეგიონებში მათ ფიზიკურ ხელმისაწვდომობას. ამ რესურსებს კი თავად მიკირტიჩის აგრონომიული ცოდნა და რესურსების სწორად გამოყენების სტრატეგია ემატება.

მაგალითად, გლეხების ნაწილი ყურადღებას არ აქცევს თესლბრუნვას და იგივე კარტოფილი მონოკულტურად განიხილება – კარტოფილს წლების განმავლობაში ერთსა და იმავე ადგილას თესავენ. მაშინ, როდესაც ერთი და იმავე კულტურით ნიადაგის ხანგრძლივი გადატვირთვა არ შეიძლება, რათა მინა არ გამოიფიტოს. „კულტურა იმავე მიწაზე მესამე-მეოთხე წელს უნდა დაბრუნდეს. ამასობაში კი სხვა კულტურები უნდა ითესებოდეს. მაგალითად იონჯა ძალიან კარგია ნიადაგისთვის, მინას აფხვიერებს და დაავადებებიც ნაკლები იქნება“, – ამბობს მოვსეიანი.

მეურნეობის დაწყებისას მიკირტიჩი რესურსებში შეზღუდული იყო და სამუშაოების დასაგეგმად თანხები ყოველთვის არ ყოფნიდა. ეტაპობრივად კი, რაც მოსავლიანობის ზრდა შეძლო, ფულადი თანხის დაგროვება და მეურნეობის გაფართოება თავისუფლად შეუძლია. ამჟამად ის იჯარით დამატებითი მიწების აღებას აპირებს.

მიკირტიჩი სეზონურად მოსავლის აღებისას თუ მინის დამუშავების დროს საშუალოდ 100 ადამიანს ასაქმებს. მუშების დღიური ხელფასი 15-20 ლარია.

რეგიონში ბოსტნეული კულტურების შემთხვევაში თითოეული ჰექტრის დამუშავებიდან მოგება საშუალოდ 4-5 ათასამდე ლარი რჩება, მარცვლეული კულტურების შემთხვევაში კი 1000 ლარამდე. მიკირტიჩი კი ჰექტარზე მოგების გაზრდას 5-7 ათას ლარამდე ახერხებს.


მიკირტიჩი მიიჩნევს, რომ ამჟამად მეურნეობისთვის რესურსები ხელმისაწვდომი გახდა და მომგებიანი მინათმოქმედებისთვის მინას-

თან სწორი მოპყრობა და შრომისმოყვარეობაა საჭირო, „ახლა უკვე ყველაფერი ხელმისაწვდომია: დიდი ტრაქტორებიც შემოვიდა, მაღაზიებშიც ყოველგვარი ნამალი და სასუქი იყიდება და მოსავლის მოყვანას მარტო შრომა და ცოდნა უნდა.“

სტიქია მინათმოქმედებს, ბუნებრივია, პრობლემებს უქმნის და მოსავლის ნაწილს ანადგურებს. ახალციხეში სეტყვა და ქარიშხალი დროდადრო აზიანებს ნათესებს, თუმცა მიკირტიჩი სტიქიას მნიშვნელოვან საფრთხედ არ განიხილავს. „რაც არ უნდა სტიქია იყოს, საშუალო მოსავალი მაინც დაგრჩება და ზარალში არ დარჩები“, – ამბობს მიკირტიჩი და არც დაზღვევის არქონას აღიქვამს ტრაგიკულად. მისი აზრით, გლეხებს მოსავალი დაზღვეული რომც ჰქონდეთ, სტიქიის შემთხვევაში სადაზღვეო კომპანიების მიერ ზარალის სწორი შეფასება მაინც სათუთაა.

უმთავრეს პრობლემად მოვსეიანი ბაზრის არასტაბილურობას განიხილავს. თურქეთიდან დიდი რაოდენობით შემოსული იმპორტული კარტოფილი და ხახვი ფასს აგდებს და გლეხები ზოგჯერ წაგებულები რჩებიან

„ერთი კილოგრამი კარტოფილის თვით-თლირებულება საშუალოდ 25 თეთრია. სტაბილური ფასი რომ იყოს 50-დან 60 თეთრამდე მაშინ მეურნეობა მომგებიანი იქნებოდა. ხახვზეც ანალოგიური ფასებია და აქაც მთავარი კონკურენტი თურქეთია... არ მინდა ლარს ზემოთ რომ წავიდეს კარტოფილის და ხახვის ფასი ქალაქში, იქაც ხალხია, მაგრამ მთავარია რომ ფასი სტაბილური და რეალური იყოს.“ – ამბობს მიკირტიჩი.

მას ამ კუთხით მინათმოქმედების განვითარებისთვის მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ გლეხებს საკუთარი საქონლის კონკრეტულ ფასად გასაღების იმედი ჰქონდეთ და ხარჯებისა და მოგების გამოთვლა წინასწარ შეძლონ. საქართველოში წინარმოები ბოსტნეულის დაცვა სახელმწიფოს დემპინგური ფასებისგან იმპორტის კონტროლით შეუძლია. „თუ 60 თეთრს გაცდება ადგილობრივი ფასი, მაშინ შეეძლება დაარეგულირონ ღირებულება და თურქეთიდან შემოტანით გააიაფონ პროდუქტი“, – ამბობს მოვსეიანი. 

■ „ერთი კილოგრამი კარტოფილის თვითთლირებულება საშუალოდ 25 თეთრია. სტაბილური ფასი რომ იყოს 50-დან 60 თეთრამდე მაშინ მეურნეობა მომგებიანი იქნებოდა. ხახვზეც ანალოგიური ფასებია და აქაც მთავარი კონკურენტი თურქეთია... არ მინდა ლარს ზემოთ რომ წავიდეს კარტოფილის და ხახვის ფასი ქალაქში, იქაც ხალხია, მაგრამ მთავარია რომ ფასი სტაბილური და რეალური იყოს.“ – ამბობს მიკირტიჩი.

ფოტოჯორნალი

"ვიბნობ ჩართს!"

თემო ბარძიმაშვილი





შუახნის მამაკაცი უროს ზევით წევს და შემდეგ რკინა-ბეტონის ბლოკს მთელი ძალით ანარცხებს. შემდეგ რამდენჯერმე იმეორებს ერთსა და იმავეს, სანამ ბეტონში მომწყვდეული არმატურა, რომელიც ერთ დროს ქარხნის კედლის ნაწილი იყო, ზედაპირზე არ ამოვა. ამის შემდეგ 52 წლის კობა სვარიძე არმატურას ლითონის საჭრელი ხერხით ჭრის და თავისი სამთვლიანი მოტოციკლით რუსთავის შემოგარენის ერთ-ერთ ჯართის ჩამბარებელ პუნქტში მიაქვს.

საბჭოთა კავშირის დანგრევამდე სვარიძე რუსთავის რამდენიმე ქარხანაში მუშაობდა. 1990-იანი წლების შემდეგ, როდესაც ქარხნები დაიხურა, ის იმავე ქარხნების ტერიტორიაზე უხვად მიმოფანტული ფერადი ლითონების შეგროვებით ირჩენდა თავს. „იმ დროს იმდენი ფერადი შენადნობი იყო, რომ რკინას თუ ფოლადს ზედაც არავინ უყურებდა,“ – იხსენებს იგი.

90-იანი წლების ბოლოს ფერადი ლითონების რაოდენობამ იკლო და ჯართის შემგროვებლებმა შავი ლითონების მოპოვებაც დაიწყეს.

დღესდღეობით შავი ლითონები საქართველოში ექსპორტის სიდიდით მეორე ადგილზეა. 2012 წელს ის 13% შეადგენდა, ხოლო 2013 წლის პირველი კვარტლის მიხედვით კი – 11%-ს.

ბევრისთვის ჯართის შეგროვება შემოსავლის ერთადერთი წყაროა. სანამ ზოგიერთი ქარხნის ნანგრევებს შორის ლითონს ეძებს, სხვები საყოფაცხოვრებო ჯართის შეგროვებით ირჩენენ თავს. ყოველ დილას, სამუშაო და უქმე დღეებში თბილისის ქუჩებში ჯართით დატვირთული მანქანები ჩნდება. დროდადრო ისინი ეზოებში ჩერდებიან და იქედან გადმოსული მძღოლები მეგაფონებით იუწყებიან: „ვიბარებთ ჯართს – ძველ მაცივრებს, გაზქურებს, სარეცხ მანქანებს!..“

ერთ-ერთი ასეთი მძღოლი, მამუკა ბადალიანი, ყოველ დილას ქოქავს თავის 30 წლის „ჟიგულის“ და ქალაქში ჯართის შესაგროვებლად გადის. თავის ხუთსულიან ოჯახში ის ერთადერთია, ვისაც სამუშაო აქვს. ჯართი მისთვის შემოსავლის ერთადერთი წყაროა. დღის განმავლობაში ის 20-30 ლარს შოულობს. თუმცა, მისი თქმით, ყოველდღე გასვლა ნარმოუდგენელია. „მაგალითად, წვიმიან ამინდებში არ გავდივართ. სახლში ვინ შემოგვიშვებს ტალახიანი ფეხებით,“ – ამბობს იგი და ამატებს, „რთული სამუშაოა, სულ ტალახში და მტვერში ხარ. ვისაც მალე სიკვდილი უნდა, ის ჯართზე მუშაობს.“



რუსთავის ყოფილი ქარხნების ტერიტორიები შავი ლითონების მოპოვების საბადოებად გადაიქცა.



მამუკა ბადალიანი შესაგროვებლად თითქმის ყოველდღე გადის.



ბევრისთვის ეს ერთადერთი შემოსავლის წყაროა. ზოგიერთ მათგანს მანქანის უქონლობის გამო ღვხით უწევს ჯარის ჩამბარებულ პუნქტებამდე მისვლა.

ფოტოჯორნალი



ჯარის შესაგროვებლად ყოველდღე შეერი ასალგაზრდა გადის.





ფოტოგროუპი



სალამობით მსხვილი ჩამბარებული პუნქტების წინ ჯვართით დატვირთული სატვირთო მანქანები ჩერდება.





რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ჯვართის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მიმღები ობიექტია. აქ ჯვართს ხელახლა გადაამუშავებენ და მისგან სამშენებლო მასალას ამზადებენ.

"ქართული ფოტობიზაფია 1955-2012"

გვანცა ნემსაძე



„ქართული ფოტობიზაფია 1955-2012“ - ასე ჰქვია ნიგნს, რომელიც ქართული ფოტობიზაფიის ისტორიის უკანასკნელ 60 წელს ასახავს. ნიგნში შესულია 201 ფოტობიზაფიის 2000-ზე მეტი ფერადი და მონოქრომული ნამუშევარი. ავტორებმა – იური მეჩითოვმა და თამარ სულამანიძემ რედკოლეგეიასთან ერთად სამი წელი იმუშავეს.

ნიგნის შექმნის იდეის ავტორი, კინორეჟისორი თამარ სულამანიძეა. იური მეჩითოვი ამბობს, რომ აქამდე ფოტობიზაფიის ისტორია ფაქტობრივად შეუსწავლელი იყო: „როცა ვლადპარაკობთ ქართულ კულტურაზე, ყველას ახსენდება ცეკვა, სიმღერა და ან გარდაცვლილი კინო. მსოფლიოში ფოტობიზაფია კულტურის ორგანული ნაწილია საქართველოში კი ისიც არ გავგიაზრებია, არსებობს თუ არა და რა არის ქართული ფოტობიზაფია.“

იური მეჩითოვის თქმით, ავტორებმა ქართული ფოტობიზაფიის ისტორია სამ ეტაპად დაყვეს. პირველი იყო ქართული ფოტობიზაფიის დასაბამიდან (1840-იანი წლები) 1921 წლამდე, გასაბჭოებამდე. შემდეგი ეტაპი 1921 წლიდან 1955 წლამდე. დაბოლოს, მესამე ეტაპი – 1955-2012 წლები. „ჩვენ სწორედ მესამე ეტაპს მივხედეთ, რადგანაც ფაქტობრივად, ამ ეტაპის ცოცხალი მემკვიდრეები ჩვენ თვალწინ მიდიოდნენ,“ – ამბობს იური მეჩითოვი.

ნიგნი ქართული ფოტოგრაფიის ისტორიის გააზრების პირველი მცდელობაა. ასევე მოცემულია ენციკლოპედიური ცნობები ქართველი ფოტოგრაფების შესახებ. „ამ ნიგნში შევიტანეთ ის, რაც ყველაზე ღირებულად მივიჩნიეთ და რაც შეიძლება მემკვიდრეობად შეფასდეს. ყდაზე გამოსახულია ზურაბ დათუაშვილის ფოტო, ხოლო ბოლო გვერდზე – გურამ ნიბახაშვილის,“ - ამბობს თამარ სულმანიძე

ნიგნის სულ ექვსი თავისგან შედგება. პირველი თავი, სოცრეალიზმს ეთმობა, მეორე კი – საინფორმაციო სააგენტო „საქინფორმის“ მოღვაწეობას. „ეს საბჭოური პერიოდის ფოტოჟურნალისტიკაა, – ამბობს იური მეჩითოვი. ჟურნალისტიკები ამ ფოტოებს დგამდნენ, ანუ მიდიოდნენ სანარმოში, მუშებს ახალ ტანსაცმელს აცმევდნენ, ალაგებდნენ ტერიტორიას, ან კიდევ კომუნისტური პარტიის ყრილობის ჩატარებისას, ყველანი გაზეთებთან იყვნენ გადაღებულნი. ეს იყო შელამაზებული ცხოვრება..“

მესამე თავი დოკუმენტურ ფოტოგრაფიას ასახავს. იური მეჩითოვი თვლის, რომ ეს ნიგნის ყველაზე დიდი ნაწილია და სერიოზულ ეტაპს – 1980-2009 წლებს მოიცავს.

მეოთხე თავი „თვალსაზრისი“ – იმ ჯგუფის შესახებაა, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი გურამ ნიბახაშვილთან ერთად იური მეჩითოვიც იყო. მეხუთე თავი კი „კონცეპტუალურ ფოტოგრაფიას“ ეძღვნება.


როგორც ავტორები განმარტავენ, ნიგნის მთავარი მიზანი ქართული ფოტოგრაფიის პოპულარიზაციაა მსოფლიო მასშტაბით. „წარმოადგენს თუ არა რაიმე განსაკუთრებულს ქართული ფოტოგრაფია, ამას ჩვენ ვერ განვსჯით. ამაზე ბევრი ვიმუშავეთ და ეს უკვე სხვამ ამ ნიგნის დახმარებით უნდა განსაჯოს,“ – ამბობს იური მეჩითოვი


როგორც ავტორები ამბობენ, ქართული ფოტოგრაფიის მიმართ ინტერესი დიდია საზღვარგარეთ. ნიგნი გაიგზავნება ამერიკის რამდენიმე უნივერსიტეტში, თურქეთში, ისრაელსა და რუსეთში. სამომავლო გეგმებში შედის ისიც, რომ ქართული ფოტოგრაფიის ისტორიიდან შეკრან 100-სურათიანი კოლექცია და გამოფინონ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის

გალერეებში. ასევე, იგეგმება ქართული ფოტოგრაფიის მეორე ტომის გამოცემაც, სადაც შევა პერიოდი 1921 წლიდან 1955 წლამდე.

ნიგნის პრეზენტაცია 6 ივნისს, 20:00 საათზე TBC გალერეაში გაიმართება. პრეზენტაციაზე გამოიფინება ფოტოები „საქინფორმის“ ფოტოარქივიდან. ეს საბჭოთა ფოტოჟურნალისტიკის პირველი გამოფენა საქართველოში.

„პროექტი არაკომერციულია და ემსახურება ქართული კულტურის პოპულარიზაციას. ნიგნი 90 ლარი ღირს. ფინანსური მხარდაჭერა კი სოროსის ფონდმა გაგვინია“, - ამბობს თამარ სულმანიძე.

პრეზენტაციას რობი კუხიანიძის კონცერტი დაასრულებს. 





„ჩვენ ვიყენებთ ყველა საერთაშორისო ფორმას იმისთვის, რომ მოვუნოდოთ ჩვენს მეგობარ ქვეყნებს მათ მოუნოდონ რუსეთს შეწყვიტოს უკანონო ქმედებები. ეს იყო გუშინ სტრასბურგში, იყო ბრიუსელში, ჩვენ თბილისში ვაკეთებთ ამას, ჩვენი საელჩოები მუშაობენ აქტიურად. საერთაშორისო მხარდაჭერა არის ერთადერთი საშუალება იმისთვის, რომ რუსეთმა აღკვეთოს ეს ღონისძიებები“

მაია ფანჯიკიძე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი



„კი არ წევნენ, ავლებენ მათ თავში არსებულ საოკუპაციო ხაზს. ...პროპაგანდა, თითქოს რაღაც საშინელება ხდება, საშინელება მოხდა, 2008 წლის აგვისტოში და ეს ტრაგედია გრძელდება. ამიტომ ჩვენი მთავარი ამოცანაა დღეს ვუპატრონოთ იმ ხალხს, ვინც იქ ყველაზე მეტად დაზარალდა. პრაგმატული პოლიტიკა - ყოველგვარი ვნებათაღელვის გარეშე, არ ავყვეთ პროვოკაციებს, არ ავყვეთ მოლაპარაკებებს საზღვარზე, არ ავყვეთ საპასუხო ემოციურ ნაბიჯებს...“.

ზაბა ზაქარიაშვილი, სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში



„რუსულმა მხარემ მიიღო უფლებამოსილება სახელმწიფო საზღვრის დასაცავად და ამ უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში სამხრეთ ოსეთის საზღვრის დაცვის კუთხით საჭირო კომპლექსურ ღონისძიებებს ატარებს. ამ ჩამონათვალში შედის საინჟინრო ხასიათის თავდაცვითი ღონისძიებებიც, რაც თავდაცვითი ხასიათის შენობების აშენებას თავისთავად გულისხმობს, სიმართლეს არ შეესაბამება ფაქტი, რომ ეს ნაგებობები სამხრეთ ოსეთის საზღვრებს სცდება“.

სერგეი კოლბინი, დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის უშიშროების სამსახურის საზღვრის დაცვის განყოფილების უფროსი



www.ucnobifm.ge



ნიუზი და ინფორმაცია

www.tv9.ge